წლიწადი მეცამეტე

ფასი № 10 კაპ.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტ. და თბ. კომიტეტების და საქ. ცაკის ორგანო

ტელეფონები: პასუხ. რედაქტორის—14—76, რედ. მოადგილის—22—17, სამდივნოსი—10—58, მთ. კანტორის—8—81.

კვ'რა,
5
მარტი
1933 წ.
№ 53 (3609)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩავებათ „პრავდა“-ს მიერ გამოცხადებულ თესვისათვის მზადყოფნის შემოწმების ხუთდღიურში

კოლმეურნეობაში თესვის წარმატებას სწყვეტს ბრიგადა

„ყოველი საკოლმეურნეო ბრიგადა სავსებით და მთლიანად თვითონ უნდა იყოს პასუხისმგებელი თავისი უბნებისათვის, თავისი მუშაობისათვის, თავისი მოსავლისათვის—ასეთია კანონი“.

(დამკვრელ კოლმეურნეთა საქ. ყრილობის მიმართვიდან)

თესვისათვის მზადყოფნის შემოწმების ხუთდღიური

დამკვრელ კოლმეურნეთა პირველი საკავშირო ყრილობის მართალი და გამარჯვების ურყევი ნებისყოფით აღსავსე მიმართვა სულ უფრო და უფრო ვრცელდება კოლმეურნეთა ფართო მასაში.

მაგრამ უაღრესად უხეში შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ ყრილობის მიმართვა თავის თავად უზრუნველყოფს თესვისათვის მზადების წარმატებას. არა, ეს იქნება მხოლოდ უძლიერესი იარაღი იმათ ხელში, ვინც პირნათლად და დაუსვენებლად უნდა მოაწყოს თესვა.

პარტორგანიზაციების ამოცანაა—დამკვრელთა ეს მოწოდება მჭიდროდ დაუკავშირონ თესლის შეგროვებას, თესვისათვის მზადებას და ყოველდღიურ მუშაობის ყველა უბანზე გამოსჭედონ დამკვრელები, გაზარდონ იმათი რიგები, რომელნიც სწორედ პატიოსნად იმუშავონ და დაიცვან საკოლმეურნეო დოვლათი.

თესლით თესვის სრული უზრუნველყოფის გარდა, რა თქმა უნდა, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ცხენის და ტრაქტორის პირნათლად და კეთილსინდისიერად მომზადებას გაზაფხულისათვის.

ჯერ კიდევ მოიპოვებიან ისეთი „ხელმძღვანელები“, რომელნიც გაჰყვიროდნენ მაღალი მოსავლის მნიშვნელობაზე და სარგებლობაზე და... არაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ ნამდვილად, ბოლშევიკურად უზრუნველყონ ცხენის და ტრაქტორის მომზადება გაზაფხულისათვის.

მართალია, სახკომსაბჭოს და ცეკას იმ დადგენილების შემდეგ, რომელიც შეეხება საგაზაფხულო თესვისათვის მუშა-პირუტყვის მომზადებას და ტრაქტორების რემონტს, ადგილებზე მოხდა ერთგვარი გარდატეხა. მაგრამ მდგომარეობა ჯერ კიდევ სრულიად ვერ ჩაითვლება დამაკმაყოფილებლად.

ტრაქტორების რემონტის მთელი მიმდინარეობა და ცხენების შემადგენლობის მდგომარეობა მეტყველურად მოწმობენ, რომ ბევრ რაიონმა და ოლქში ჯერ კიდევ არა აქვს ადგილი თესვისათვის მზადების კონკრეტულ ხელმძღვანელობას. მასები ჯერ კიდევ სუსტად არიან ჩაბმული უმნიშვნელოვანესი ამოცანის — თესვისათვის გამწევი ძალის მომზადების ამოცანის—[illegible]. დამკვრელობა და სოცშეჯიბრება ამ უბანზე მხოლოდ ჩანასახშია. ძირეულ პრესას ჯერ კიდევ არ მოუქცევია სათანადო ყურადღება ცხენისა და ტრაქტორისათვის, არ გამოუყენებია ამ მიზნით ისეთი უძლიერესი და ღირსშესანიშნავი დოკუმენტი, როგორიცაა დამკვრელ კოლმეურნეთა ყრილობის მიმართვა.

„პრავდა“ მოუწოდებს მთელ ადგილობრივ პრესას და მუშკორ-სოფკორებს გაატარონ თესვისათვის მექანიკური და ცოცხალი გამწევი ძალის მზადყოფნის შემოწმების ხუთდღიური. მუშკორ-სოფკორთა მთელი არმია 10-15 მარტს შემჭიდროებული რიგებით დაიძრება, რათა ბოლშევიკურად შეამოწმოს თესვისათვის მზადების ეს უმნიშვნელოვანესი უბანი.

„ვის ხელშიაც არის საკოლმეურნეო ცხენი. იმის ხელშია თქვენი მინდორის მოსავალიც და თქვენი შემოსავალიც“.

პრესის ხუთდღიურმა ხელი უნდა შეუწყოს საუკეთესო კოლმეურნეების შერჩევას მეჯინიბეებად. განსაკუთრებით იმათ შერჩევას. რომელთაც გაიარეს წითელი არმიის სკოლა, ცოცხალი გამწევი ძალის ყველა ნებსითი თუ უნებლიეთი მავნებლების გამოაშკარავებას, მათ სამარცხვინო ბოძზე გაკვრას.

პრესის ხუთდღიური გვერდს ვერ აუვლის მუდმივი ბრიგადების ორგანიზაციის, ძალთა სწორი განაწილების და გაპიროვნების ლიკვიდაციის შემოწმებას, განსაკუთრებით ბრძოლას შრომის მტკიცე დისციპლინისათვის ბრიგადებში.

სახკომსაბჭოს და ცეკას დადგენილებაში „საგაზაფხულო თესვისათვის მუშა-პირუტყვის მომზადების შესახებ“ მოცემულია მუშაობის მთელი პროგრამა ამ დარგში.

რა შეიძლება იყოს უფრო მნიშვნელოვანი ძირეული პრესისათვის, რომ მან შეამოწმოს, თუ როგორაა შესრულებული ეს მითითებანი, დაყოფილია თუ არა ცხენები ჯგუფებად მათი შრომის უნარის მიხედვით. უზრუნველყოფილია თუ არა მათი სათანადო მოვლა, მიღებულია თუ არა ზომები საკვები ფონდების შესაქმნელად, სწორად არის თუ არა მოწყობილი ვეტერინარული მეთვალყურეობა და ცხენთა შემადგენლობის მთელი წარმოება, პასუხისგებაში არიან თუ არა მიცემულნი ის პირები, რომლებსაც დანაშაული მიუძღვით ცხენის უმართებულო, მტაცებლურ გამოყენებაში და სხვ.

არავითარი სიბრალული და სულგრძელობა იმათ მიმართ, ვინც დანაშაულებრივად ექცევა ცხენს. სამარცხვინო ბოძზე უნდა გავაკრათ ის ძირეული პარტორგანიზაციები, სამიწათმოქმედო ორგანოები და სამანქანო-სატრაქტორო სადგურები, რომელნიც ლიბერალობას იჩენენ ხალხის მტრების, საკოლმეურნეო დოვლათის დანაშაულებრივად დამტაცებლების მიმართ. პრესის ხუთდღიური ამ დარგში ბევრი რამ უნდა გააკეთოს.

პირველ ყოვლისა, სათადარიგო ნაწილების შესახებ. მთელ რიგ ქარხნებს არ მოუხდენიათ თავისთავის ბოლშევიკური მობილიზაცია თავიანთი უაღრესად საპასუხისმგებლო დავალებათა შესასრულებლად თესვისათვის. ყველა ამ მესაბოტაჟეების გამომჟღავნება, მათი საზოგადოებრივი გაკიცხვა და ამასთან ერთად მასების ამოძრავება სათადარიგო ნაწილების ხაზით მოცემულ დავალებათა შესრულებისათვის — ასეთია პრესის ხუთდღიურის ამოცანა.

სათადარიგო ნაწილები დროზე უნდა მოვთხოვოთ არა მარტო მათ გამომშვებ ქარხნებს, არამედ იმ სამანქანო-სატრაქტორო სადგურებსა და საბჭოთა მეურნეობებსაც, რომელთაც გადამალეს თავის მარაგი და მოატყუეს საბჭოთა სახელმწიფო გაბერილი მოთხოვნების წარდგენით. ეს ბიუროკრატიულად გადაგვარებული ელემენტები ადგანან ლოზუნგს: „ნუ მომცემ მეტს გამოვგლეჯ, ხოლო დანარჩენი წყალსაც წაუღია“. ხუთდღიური დაგვეხმარება გამოვააშკარავოთ საბჭოთა მეურნეობების და სამანქანო-სატრაქტორო სადგურების ყველა ფარული რესურსები და უმოკლეს ვადაში ყველაზე უფრო რაციონალურად გადავანაწილოთ სათადარიგო ნაწილების არსებული მარაგი. ადგილობრივი პრესა ცოტას არ სწერს ტრაქტორების რემონტის (ცუდი ხარისხის) შესახებ. მაგრამ ხშირად არაფერს ამბობს კონკრეტულ დამნაშავეთა შესახებ და იმაზე, თუ რისი გაკეთებაა საჭირო რემონტის გასაუმჯობესებლად.

განა ცოტაა ჩვენთან არამზადები და გაიძვერები, რომლებიც შეძვრნენ ტრაქტორისტთა და სამანქანო-სატრაქტორო სახელოსნოების მუშათა რიგებში მავნებლობისათვის? განა ცოტანი არიან მიტმასნილი ელემენტები, რომლებსაც ჯიბეში უდევთ პარტიული ბილეთები, ბევრ ჩვენს სამანქანო-სატრაქტორო სადგურებსა და საბჭოთა მეურნეობებში, სადაც ხალხი სიბრმავეს იჩენს მტრის ამ დანაშაულებრივი მოქმედებისადმი, სადაც ადამიანებმა დღემდე ვერ გაიგეს, რომ ტრაქტორების რემონტი წარმოადგენს გაფთრებული კლასობრივი ბრძოლის უბანს?

სამანქანო-სატრაქტორო სადგურების და საბჭოთა მეურნეობების პოლიტგანყოფილებებმა ცოტა რამ უკვე გააკეთეს ყველა ამ ხალხის გამოსაშკარავებლად. მაგრამ მთავარი ჯერ კიდევ წინ არის. პრესის ხუთდღიური დახმარებას გაგვიწევს წინ წავსწიოთ რემონტის საქმე.

განსაკუთრებული პასუხისმგებლობა გაზაფხულისათვის ცხენის და ტრაქტორის მომზადების საქმეში ეკისრება მიწადმოქმედების ორგანოებს, რომლებიც ბევრ შემთხვევაში დანაგვიანებული არიან უცხო ელემენტებით და გვაგონებენ (ცუდ კანცელარიებს) და არა ხელმძღვანელ შტაბს. ადგილობრივი პრესის ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ შეამოწმოს სარაიონო და საოლქო სამიწათმოქმედო ორგანოების მდგომარეობა და გამოარკვიოს—უზრუნველყოფენ თუ არა ისინი კონკრეტულ ოპერატიულ ხელმძღვანელობას.

პრესის ხუთდღიურის ჩატარებისათვის დიდი დახმარების გაწევა შეუძლიათ და კიდეც უნდა გაუწიონ დახმარება, იმ ფაბრიკებმა და ქარხნებმა, რომლებსაც აღებული აქვთ შეფობა კოლმეურნეობებზე. მოაწყონ საქარხნო პრესის პირით ხუთდღიურის ჩატარებისათვის საშეფო რაიონში, მოაწყონ საშეფო რაიონში დამკვრელთა რეიდი და დახმარება გაუწიონ მათ რათა უკეთესად დააყენონ ცხენის და ტრაქტორის მომზადება გაზაფხულისათვის — აი ქარხნების და ფაბრიკების დიდი და საპატიო ამოცანა. ხუთდღიურმა ძლიერ უნდა შეუწყოს ხელი დამკვრელობის ზრდას სოფლად, კოლმეურნეობებში საბჭოთა მეურნეობებში და სამანქანო-სატრაქტორო სადგურებში.

დამკვრელ კოლმეურნეთა ყრილობის მიმართვა—აი დამკვრელობის და სოცშეჯიბრების პროგრამა: გავამრავლოთ დამკვრელთა რიგები სოფლად, გავშალოთ სოცშეჯიბრება თვითეულ საკოლმეურნეო ბრიგადაში, სამანქანო-სატრაქტორო სადგურების და საბჭოთა მეურნეობების ყველა მუშებს შორის.

ცხადია, რომ ხუთდღიურის დროს ადგილობრივმა ორგანიზაციებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ ჩამორჩენილ რგოლს და არ მიუდგენ საკითხს შაბლონურად. იქ, სადაც თესლის შეგროვების საქმე ვერ არის კარგად. ამ საკითხმა უნდა დაიკავოს უმნიშვნელოვანესი ადგილი.

მეტი ინიციატივა, მეტი მოფიქრებული დამოკიდებულება თესვის ამოცანებისადმი.

„პრავდა“-ს 4 მარტის შემოკლებული მოწინავე წერილი.

„ჩემი ბრიგადა მზად არის შაქრის ჭარხლის თესვისათვის

სოფ. ოსიაურის (სტალინისის რაიონი) კოლმეურნეობის დამკვრელი ბრიგადის წერილი

ჩემი ბრიგადის სას. სამ. სამუშაოს მთელი წლის მანძილზე წარმოადგენს მხოლოდ **შაქრის ჭარხალი. ჩემს ბრიგადაში ითვლება 18** კაცი; გეგმის მიხედვით გაზაფხულზე ჩვენ უნდა დავთესოთ შაქრის ჭარხალი 35 ჰექტარზე. ნაკვეთები უკვე მომაგრებულია ბრიგადაზე, ჩვენ ვიცით სად რომელ მიწაზე უნდა დავთესოთ ჭარხალი.

გამოყოფილ ნაკვეთების განაყოფიერებლად ჩემს ბრიგადას უკვე მზად აქვს მინერალური სასუქი. გვყავს 14 უღელი ხარ-კამეჩი, რომელთათვის დაჯავშნულია 500 ფუთამდე საკვები. გარდა ამისა გვაქვს ჩალა, 200 ფუთამდე თივა და 25 ფუთი ქერნარევი სიმინდი.

ამჟამად მუშა-პირუტყვი გადაყენებულია გაძლიერებულ კვებაზე; იმ ხარ-კამეჩს, რომელიც უფრო სუსტია — მეტ საკვებს ვაძლევთ. ამ საქმეზე (მოვლაზე და კვებაზე) გამოვყავით სპეციალური პირები, რომელნიც პასუხისმგებელი არიან ჩემს წინაშე.

ჩემს ბრიგადაზე მომაგრებულია 5 ურემი, გუთნები, 4 ფარცხი და სხვა საჭირო მანქანა-იარაღები. კოლმეურნეობას აქვს ტრაქტორი, რომელიც ემსახურება ყველა ბრიგადებს. მანქანა-იარაღების შეკეთება მე ორი კვირის წინად დავამთავრე.

რა გავაკეთეთ და რა უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ გავადიდოთ შაქრის ჭარხლის მოსავლიანობა? ამ საბრძოლო ამოცანის გადასაწყვეტად ბრიგადის თვითეული წევრი უკვე დარაზმულია. **ჩემმა ბრიგადამ აიღო ვალდებულება—სახელმწიფოს ჩააბაროს ერთ ჰექტარიდან 100 ცენტნერი შაქრის ჭარხალი.**

35 ჰექტარი ჩვენ მზრალად მოვხანით თავის დროზე. ამ დღეებში ნაკვეთებში შევიტანთ მინერალურ სასუქს, ადრე გაზაფხულზე დავფარცხავთ, თესვის წინ კიდევ დავფარცხავთ; ჭარხალს მოკლე ვადაში დავთესავთ.

მოსავლიანობის გადიდების და საგაზაფხულო თესვის კამპანიის ყველა მაჩვენებლების უკეთესად შესრულების მიზნით, მე გამოვიწვიე მეორე ბრიგადის ხელმძღვანელი **ს. ბულიაშვილი.**

იმისათვის, რომ დავრწმუნებულიყავი თუ, რამდენად მზად იყო ჩემი ბრიგადა თესვისათვის — ამ რამოდენიმე დღის წინად **მოვაწყვე საცდელი გასვლა მინდვრად.** ავტეხე განგაში, ერთი საათის განმავლობაში ჩვენ ყველანი ნაკვეთებზე ვიყავით ურმებით, გუთნებით, სასუქით, პირუტყვის საკვებით. ჩემმა ბრიგადამ ეს გამოცდა წარმატებით ჩააბარა კოლმეურნეობის გამგეობას.

ჩემს ბრიგადაში უკვე დამუშავდა დამკვრელ კოლმეურნეთა საკავშირო ყრილობის მიმართვა, ბრიგადის თვითეული წევრი კარგად იცნობს ამხ. **სტალინის** სიტყვებს. წარმოთქმულს საკ. კ.პ. (ბ) ცეკას და ცენტ. საკ. კომისიის იანვრის პლენუმზე და დამკვრელ ყრილობაზე.

[illegible]

ოზურგეთის რაიმიწგანი ამცირებს საფურაჟო ფონდების ნორმებს

საქ. კ.პ. (ბ) ცეკას და საკ. სახკომსაბჭოს დადგენილების საფუძველზე, რომელიც შეეხება საკვების დაჯავშნას, საქ. მიწსახკომმა, ადგილებზე საკვების საჭირო რაოდენობის გამოკვლევის შემდეგ, რაიონების მიხედვით შეადგინა კონკრეტული გეგმა (საკვების დაჯავშნაზე) და დაუგზავნა ის ადგილებს.

ამ გეგმების შესრულების მიმდინარეობის შესამოწმებლად, საქ. მიწსახკომმა საქართველოს 15 რაიონში მიავლინა ბრიგადები. ბრიგადების იმ ფაქტიურ მასალებიდან, რომელიც საქ. მიწსახკომის მეცხოველეობის სექტორს მოეპოვება,—ყურადღებას იპყრობს **ოზურგეთის რაიონი.** ამ რაიონის მიწგანს თვითნებურად შეუმცირებია კვების პერიოდი და პირუტყვის კვების ნორმა. **ამის გამო რაიონში დაჯავშნულია 860 ტ. საკვები ნაცვლად საქართველოს მიწსახკომის მიერ გათვალისწინებულ 2.000 ტონისა.**

საკვების დაჯავშნის საკითხისადმი ამ ოპორტუნისტული დამოკიდებულების შედეგად, ოზურგეთის რაიონში თესვას ჩაშლის საფრთხე მოელის.

ბრიგადების გამოკვლევით, ლანჩხუთის რაიონის კოლმეურნეობებს საკვები დაჯავშნული აქვს მთლიანად, ხოლო ამ რაიონში არსებული სამანქანო-სატრაქტორო სადგური ცხენებისათვის საკვების დიდ სიმცირეს განიცდის. ასეთივე მდგომარეობაა ვარიანის (გორის რაიონი) საბჭოთა მეურნეობაში, სადაც ნაკლებად ზრუნავენ საკვების უზრუნველსაყოფად.

სად როგორ ემზადებიან თესვისათვის

სამტრედია

მაქვნარის საბჭოთა მეურნეობა ძირითადათ მისდევს მებოსტნეობას. გაზაფხულზე მეურნეობამ უნდა დათესოს ბოსტნეული და სხვა კულტურები—180 ჰექტარზე. უნდა აღინიშნოს, რომ მეურნეობის დირექცია ძალზე სუსტად ემზადება თესვისათვის. მეურნეობაში გამეფებულია გაპიროვნება, არ აქვთ შედგენილი საწარმოო გეგმა, არ მოუმარაგებიათ საჭირო რაოდენობის თესლეული; 22 თებერვლისათვის ხსენებულ მეურნეობას არ ქონდა დაწყებული მანქანა-იარაღების შეკეთება და სხვ.

ყველაფერი ეს აიხსნება იმით, რომ მეურნეობაში ზოგიერთი პასუხისმგებლობის თანამდებობები უქირავთ ყოფ. პოლიციელებს და სხვა ანტი-საბჭოთა ელემენტებს. მაგ. მეურნეობის დირექტორის მოადგილე—ბადურაშვილი—ყოფ. მენშ. დროის ოფიცერია, რომელიც პრაქტიკულად არაფერს აკეთებს.

ბრიგადირი.

გარე-კახეთი

ხართისკარის სას. საბჭომ გაზაფხულზე უნდა დათესოს სხვადასხვა კულტურები სულ 1443 ჰექტარზე. თესლეულით კოლმეურნეობები და ინდ. მეურნენი უზრუნველყოფილი არიან. ამჟამად ეწარმოებენ თესლეულის გაწმენდას და შეწამვლას. საადრეო ხვნა დაიწყო, აქა-იქ შეუდგნენ თესვას.

25 თებერვლისათვის მანქანა-იარაღები შეკეთებული იყო მთლიანად. მოსავლიანობის გასადიდებლად ნაკვეთებზე გაზიდულია 2330 ტონა ნაკელი. მუშა-პირუტყვი გადასულია გაძლიერებულ კვებაზე.

დ. მალასიძე.

თბილისის გარე-უბანი

თბილისის საგარეუბნო რაიონში უკვე დაიწყო თესვა. პირველ მარტისათვის დათესილი იყო რაიონში 145 ჰექტარზე მეტი. თესვის მოწინავე რიგებში დგანან ავჭალის, გლდანის და თელეთის სას. საბჭოები. ხორბლეულის თესვის გარდა რაიონში დაიწყო აგრეთვე ბოსტნეული თესვაც.

რაიონში მანქანა-იარაღების შეკეთება დამთავრებულია, თესლი გაწმენდილი და შეწამლულია. მიმდინარეობს სასუქის გატანა მინდვრებზე.

კ. აბულაძე.

სტალინისი

ბრეთის საბჭოთა მეურნეობა (სტალინისის რაიონი) მომზადებული ხვდება საგაზაფხულო თესვას. მეურნეობამ ვადაზე ადრე დაამთავრა ტრაქტორებისა და სხვა მანქანა-იარაღების შეკეთება. მათ მანქანა-იარაღების შეკეთების დამთავრებისთანავე დახმარება აღმოუჩინეს [illegible] საბჭოთა მეურნეობას და მეზობელ კოლმეურნეობებს.

ბრეთის საბჭოთა მეურნეობა უზრუნველყოფილია სათესლე მასალით მზად აქვთ მინერალური სასუქი მინდვრებზე გასატანად. პირუტყვისათვის დაჯავშნულია საჭირო რაოდენობის საკვები. მეურნეობამ გადაამზადა 30 ტრაქტორისტი.

ბ—ი.

გურჯაანი

გურჯაანის რაიონში ფართოდ დამუშავდა საკ. კ.პ. (ბ) ცეკას და ცენტრ. საკ. კომისიის იანვრის პლენუმის შედეგები და ამხ. სტალინის სიტყვა „სოფლად მუშაობის შესახებ“. ამის შედეგად და საგაზაფხულო თესვის კამპანიასთან დაკავშირებით, რაიონში ჩამოყალიბდა ახალი კოლმეურნეობები. სოფ. ზ.-ყანდაურაში ჩამოყალიბდა ახალი კოლმეურნეობა, კოლმეურნეობა ჩამოყალიბდა აგრეთვე ს. ქვემო-ყანდაურაში. ახალი კოლმეურნეობები უკვე ემზადებიან თესვისათვის.

მ. ზარანდია

სასტიკი საყვედური სტალინისის რაიმიწგანის გამგეს

საქ. ს. ს. რ. მიწადმოქმედებისსახ. კომისარიატის დადგენილება

3 მარტი, 1933 წელი

სტალინისის რაიმიწგანის ოპერატიული ცნობების მიხედვით მზრალად ხვნა შაქრის ჭარხლისათვის ჩატარებულია ამ მიზნით გამოყოფილ მთელ ფართობზე.

კოლმეურნეობა „ურბნისი“-ს შემოწმებით გამოირკვეულია, რომ კოლმეურნეობას, რომელმაც გეგმის მიხედვით შაქრის ჭარხალი 60 ჰექტარზე უნდა დათესოს, შაქრის ჭარხლისათვის გამოყოფილ ფართობზე სრულიად არ უწარმოებია ნიადაგის მზრალად ხვნა.

ეს ფაქტი მოწმობს, რომ რაიმიწგანი მოწყვეტილია და არ იცნობს საქმის ნამდვილ მდგომარეობას ცალკე კოლმეურნეობებში.

ამის გამო გამოეცხადოს სასტიკი საყვედური სტალინისის რაიმიწგანის გამგეს ამხ. შილოკაძეს და გაფრთხილებულ იქნან ყველა რაიმიწგანის გამგეები, რომ შემდეგში არა სწორი ოპერატიული ცნობების მიცემა გამოიწვევს სასამართლოს წესით პასუხისგებაში მიცემას პარტიულ და მთავრობის ორგანოებისათვის თვალის ახვევისათვის და მოტყუების გამო.

ეს დადგენილება გამოქვეყნდეს პრესაში.

ს. ს. ს. რ. მიწადმოქმედების სახ. კომისარი—შ. მათიკაშვილი

ორი ახალი კოლმეურნეობა

(ტელეგრაფით სიღნაღიდან)

საგაზაფხულო თესვასთან დაკავშირებით, ბოდბისხევის სასოფლო საბჭოში (სიღნაღის რაიონი) ჩამოყალიბდა ორი ახალი კოლმეურნეობა, რომლებშიაც გაერთიანებულია ღარიბ-საშუალო გლეხთა 87 მეურნეობა. ორივე კოლმეურნეობაში განსაზოგადოებულ იქნა 100 სული მუშა-პირუტყვი და სათესლე მასალა. ახალი კოლმეურნეები უკვე შეუდგნენ ადრიულ ხვნას.

თესვასთან დაკავშირებით სიღნაღის რაიონში არსებულ კოლმეურნეობებს შეემატა 406 ახალი წევრი.

თ. კუნჭულია.

არ შევანელოთ ყურადღება ჩაის კულტურისადმი

(ტყიბული, საკ. კორ.)

ტყიბულის რაიონმა სათანადო წარმატებებს მიაღწია ჩაის კულტურის განვითარების დარგში. ამჟამად რაიონში ჩაის კულტურა გაშენებულია სულ 727 ჰექტარზე. აქედან წლების მიხედვით.—1931 წელში დარგული იქნა 179 ჰექტარზე, ხოლო 1932 წელში 548 ჰექტ. მიმდინარე წელს კი ჩაი დათესილი უნდა იქნას გაზაფხულზე—20 ჰექტ. და 6.816 კვ. დრ. მეტრი და შემოდგომაზე 50 ჰექტ.

ტყიბულის რაიონმა ჩაის თესვის გასული წლის გეგმა შეასრულა 100 პროცენტით. — ჩაი დათესა 548 ჰექტ., ეს იმის შედეგად, უნდა ჩაითვალოს, რომ გასულ წელს რაიონის კოლმეურნეობებმა ადრე შეუდგნენ მუშაობას, ჩაის გეგმის შესრულებისათვის და რაიონულმა ორგანიზაციებმა დროულად მიიღეს ზომები მუშაობის დანიშნულ ვადებში დასრულებისათვის.

მიმდინარე წელს სამარცხვინო ჩამორჩენას აქვს ადგილი ჩაისთვის ნიადაგის მომზადების და ჩაის თესვის საქმეში.

გეგმით მიმდინარე წლის პირველ კვარტალში ნიადაგი მომზადებული უნდა იქნას 36 ჰექტარზე. ფაქტიურად 10 იანვრისათვის მომზადებული იყო 4 ჰექტარი. ეს ნაწილობრივ იმითაც უნდა აიხსნას, რომ რაიონში ამჟამად თოვლია, მაგრამ იანვარში იყო სამისო ამინდები, რომ მეტი გაკეთებულიყო.

რაიონში წელს პირველად ტარდება ჩაის ბუჩქების შეკრეჭა (ფორმის მიცემა), ამიტომ ამ მუშაობას განსაკუთრებული ყურადღება ესაჭიროება. თოვლის აღების შემდეგ უკვე დაიწყება მუშაობა ამ მიმართულებით. გარდა ამისა წელსვე მთავარი ყურადღება ექცევა პლანტაციების რემონტისა და დაცვის საქმეს. დღემდე გაშენებულ 727 ჰექტ. შემოღობილია მხოლოდ 642 ჰექტ. დანარჩენი კი — მიმდინარე წელს უნდა შეიღობოს.

კოლმეურნეობებში გამოყოფილია ჩაის დარგებში მომუშავე სპეციალური ბრიგადები, რომლებიც აქტიურად იბრძვიან მოცემულ დავალებათა შესასრულებლად (ოხვეთის და სხვ. კოლმეურნეობებში).

ნიადაგის მომზადების დარგში წინ მიდიან: ხრესილის, გურნის, ორპირის ჯვარისის და ციხია-ბოთის სას. საბჭოები, ხოლო ჩამორჩენ ცუცხვათისა და საწირის სას. საბჭოები.

რაიონულმა ორგანიზაციებმა დაუყოვნებლივ უნდა გააძლიერონ ჩაის გეგმების შესრულებისათვის ბრძოლის ტემპები. მათ კონკრეტული და ოპერატიული ხელმძღვანელობის გაწევით უმოკლეს დროში უნდა შეძლონ გარღვეული ფრონტის გამოსწორება, ჩაის დარგში.

გ. მერკვილაძე

აღმოვფხვრათ მასიური კვალიფიკაციის კადრების მომზადების ოპორტუნისტული შეუფასებლობა

ხუთი თებერვლის დადგენილებაში საკ. კ.პ.(ბ) ც.კ. განსაკუთრებით მახვილებდა პარტიული ორგანიზაციების ყურადღებას მასიური კვალიფიკაციის კადრების მომზადების საკითხისადმი. ც.კ. წარსული წლის გამოცდილების მიხედვით, აღნიშნა, რომ პარტორგანიზაციის ცალკე რგოლები და სამეურნეო ორგანიზაციები ჯეროვანად ვერ აფასებენ სოფლის მეურნეობისათვის მასიური კვალიფიკაციის კადრების მომზადების საქმის დიდ პოლიტიკურ მნიშვნელობას, რის გამოც, წარსულში ადგილი ჰქონდა კურსების ჩაშლის ფაქტებს, მოტყუების და თვალის ახვევის შემთხვევებს, მასიური კადრების მომზადების საკითხისადმი ფორმალურ-ბიუროკრატიულ დამოკიდებულების მაგალითებს და სხვ.

აქედან გამომდინარე ცეკა დაუშვებლად სთვლიდა მსგავსი მაგალითების განმეორებას და წინადადებას აძლევდა, როგორც ცენტრალურ სამეურნეო, ისე ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებს—უკეთ დარაზმულიყვნენ საგაზაფხულო სასოფლო სამეურნეო კამპანიის საჭიროებისათვის მასიური კვალიფიკაციის კადრების მომზადებისათვის და **განსაკუთრებული ყურადღება მიექციათ ამ კადრების მომზადების ხარისხის ამაღლებისათვის.**

ცეკას დადგენილების შემდეგ უკვე ერთმა თვემ გაიარა, ერთი თვე საკმაო ვადაა, იმისათვის, რომ შეფასებულ იქნეს ცენტრალური კომიტეტის დადგენილების რეალიზაციისათვის ჩატარებული მუშაობა და აღნუსხულ იქნეს ამ მუშაობის შედეგები.

უნდა აღინიშნოს, რომ წარსულთან შედარებით, მთელი რიგი ცენტრალური ორგანიზაციები უფრო მომზადებულად და მოწესრიგებულად შეუდგნენ მასიური კვალიფიკაციის კადრების მომზადებას. თავის დროზე იქნა დაყვანილი ადგილებამდე კადრების მომზადების გეგმები, უკეთ იქნა შერჩეული ლექტორთა შემადგენლობა. კურსები უზრუნველყოფილია ბინებით, ფულადი სახსრებით, მოსარაგებით და სხვ. უდავოა, რომ ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციების უმრავლესობამ საჭირო ყურადღება გამოიჩინა ამ საკითხისადმი. ეს გამოიხატა მსმენელთა სწორად შერჩევაში, მათი შემადგენლობის ხარისხის გაუმჯობესებაში, კურსებზე საუკეთესო დამკვრელ კოლმეურნეების გაგზავნით და სხვ. ყოველივე ამის შედეგად, მასიური კვალიფიკაციის კადრების მომზადების საქმეში თვალსაჩინო მიღწევები გვაქვს.

ცენტრალური კომიტეტის მიერ დამტკიცებული გეგმების მიხედვით, საგაზაფხულო კამპანიისათვის უნდა მომზადდეს—5.570 კაცი. 27 თებერვლის ცნობებით—კურსებზე უკვე მეცადინეობს 5620 მსმენელი რაც გეგმის 100,7 პროც. უდრის. აქედან მიწსახკომს [illegible] შესრულებული აქვს—136 პროცენტით, „საქ. ჩაის“ 110 პროცენტით, „საქ. აბრეშუმს“ —113 პროცენტით, ტრაქტორცენტრმა—97 პროც. და სხვ. ცენტრალური კომიტეტის მიერ ადგილებზე ჩატარებულ შემოწმებამ დაადასტურა, რომ რიცხობრივად გეგმის შესრულებასთან ერთად, ზემო აღნიშნულ ორგანიზაციების სისტემაში—კადრების მომზადების ხარისხიც ძირითადათ დამაკმაყოფილებელია, განსაკუთრებით „საქ. ჩაი“-ს და ტრაქტორცენტრის ხაზით.

ასეთია ძირითადათ ის მიღწევები, რომელიც გვაქვს, კადრების მომზადების საქმეში 27 თებერვლისათვის.

მაგრამ ამ მიღწევებთან ერთად, გამოკვლევამ გამოამჟღავნა, მთელი რიგი უაღრესად სერიოზული ნაკლები, რომელთა აღმოფხვრისათვისაც დაუყოვნებლივ უნდა იქნეს მიღებული გადამჭრელი ზომები.

ეს ნაკლები ძირითადათ შემდეგში მდგომარეობენ:

რესპუბლიკანური გეგმის საერთოდ გადაჭარბებასთან ერთად, დაუშვებელ უპასუხისმგებლობას აქვს ადგილი ცალკე სამეურნეო ორგანიზაციების ხაზით.

ასე მაგალითად: 27 თებერვლისათვის, წყალთა მეურნეობას, მას. კვალიფიკაციის კადრების მომზადების გეგმა შესრულებული აქვს მხოლოდ 16 პროც. საქ. რამის—31,4 პროც. „კარაქტრესტს“—32 პროცენტით, სრულ უმოქმედობას იჩენენ ლიმონ-მანდარინის ტრესტი, რომელსაც კადრების მომზადების დარგში დღემდე არაფერი აქვს გაკეთებული.

რით შეიძლება აიხსნას ეს მდგომარეობა, თუ არა ფორმალურ ბიუროკრატიული დამოკიდებულებით, აღნიშნულ ორგანიზაციების ხელმძღვანელების მხრივ.

მასიური კვალიფიკაციის კადრების (ბრიგადების, ტრაქტორების უფროსი მუშების) მომზადების საკითხისადმი ასეთ უმსგავსო დამოკიდებულებას, ადგილი აქვს იმ დროს, როდესაც „ტრაქტორცენტრი“ და საბჭოთა მეურნეობები მეტად ცუდ მდგომარეობაში იმყოფებიან ამ კადრების ნაკლოვანების მხრივ, ამ საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა შემადგენლობა დანაგვიანებულია ყველა ჯურის გაიძვერებით. ქურდებით და კლასიურად უცხო ელემენტებით, რომლებიც ძირს უთხრიან შრომის დისციპლინას, სცარცვავენ და ჰქურდავენ საბჭოთა მეურნეობების ქონებას, აფუჭებენ სამეურნეო მანქანა-იარაღებს და სხვ.

ყოველივე ამის შემდეგ დასკვნა ასეთია: მთლიანად გეგმის დამაკმაყოფილებლად შესრულებასთან ერთად, სერიოზულ გარღვევებს და უმოქმედობას აქვს ადგილი ცალკე სამეურნეო ორგანიზაციების ხაზით, რაც ამ ორგანიზაციების ხელმძღვანელობის და კადრების მომზადების საკითხზე უშუალოდ მომუშავე პასუხისმგებელ მუშაკების ფორმალურ ბიუროკრატიულ დამოკიდებულების შედეგს წარმოადგენს. ამ მოვლენას დაუყოვნებლივ უნდა მოეღოს ბოლო. ყველა ორგანიზაციების მხრივ მასიურ კვალიფიკაციის კადრების მომზადების გეგმა შესრულებულ უნდა იქნეს ყოველ მიზეზს გარეშე.

მეორე დაუშვებელ მოვლენად მიჩნეულ უნდა იქნეს, ცალკე ორგანიზაციების მხრივ დაშვებული ხელმძღვანელი ორგანიზაციების მოტყუების და თვალთმაქცობის ტენდენციები, რომელიც გამოაშკარავებულ იქნა ადგილებზე ჩატარებულ შემოწმების დროს. ეს გამოიხატა ცალკე საბჭოთა მეურნეობების, ან სამანქანო-სატრაქტორო სადგურების დირექტორების მხრივ, აშკარად გადაჭარბებულ ცნობის მიწოდებაში ფაქტიურ მდგომარეობასთან შედარებით. მაგალითად, ბორჩალოს საქ. სატრაქტორო სადგურმა „ტრაქტორცენტრს“ მისცა ცნობები, რომ ისინი ამზადებენ 50 ტრაქტორისტს და 20 ბრიგადირს. ადგილებზე შემოწმებამ გამოარკვია, რომ 50 ტრაქტორისტის და ბრიგადირების მომზადებას კი სულაც არ შესდგომიან. ყარაიას სამანქანო სატრაქტორო სადგურმა ცენტრს მისცა ცნობა, რომ სადგური ამზადებს 38 ბრიგადირს, გამოირკვა, რომ სადგურთან სრულებით არ იყო მოწყობილი ასეთი კურსები. ასეთ მოვლენებს დაუყოვნებლივ ბოლო უნდა მოეღოს, გადამჭრელი ზომები უნდა იქნეს მიღებული თვალის ახვევის და მოტყუების ცდების წინააღმდეგ კონკრეტულ დამნაშავეთა გამომჟღავნებით და მათ წინააღმდეგ საჭირო ზომების მიღებით.

მესამე უარყოფითი მომენტი, რომელიც ახასიათებს მასიური კვალიფიკაციის კადრების მომზადების მსვლელობას მდგომარეობს იმაში, რომ რაიონული კომიტეტები ვერ უწევენ ყოველდღიურ საჭირო ოპერატიულ ხელმძღვანელობას ამ მუშაობას. ცეკა თავის ხუთი თებერვლის დადგენილებაში ავალებდა ყველა პარტორგანიზაციებს როგორც წესი, ყოველ დეკადაში ერთხელ მოესმინათ ინფორმაცია ბიუროს სხდომაზე, კურსების მუშაობის მიმდინარეობაზე და სისტემატიურად ედევნებიათ თვალყური კადრების მომზადების ხარისხის ამაღლებისათვის. გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ ეს მითითება სრულიად არა დამაკმაყოფილებლად ტარდება ცხოვრებაში. რაიკომები დაკმაყოფილდენ კურსების მოწყობით და შემდეგ დაივიწყეს ის. ამის გამო ხშირია მსმენელების კურსებზე დაუსწრებლობის სამოსწავლო დისციპლინის დარღვევის სამოსწავლო ვადების შემცირების შემთხვევები.

ეს გარემოება ნათელყოფს, რომ კადრების მომზადების ხარისხისადმი ხშირ შემთხვევაში არ არის მოქცეული სათანადო ორგანოების ყურადღების ცენტრში. საჭიროა ამ მდგომარეობას განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს. საჭიროა რათა კადრების მომზადების საქმე შეფასებულ იქნეს უპირველეს ყოვლისა ხარისხის გაუმჯობესების თვალსაზრისით. მიწსახკომმაც, რომელმაც რაოდენობის მხრივ გეგმა გადააჭარბა. თავის მუშაობის სიმძიმის ცენტრი უნდა გადაიტანოს კადრების მომზადების ხარისხზე.

უკანასკნელი საკითხი, რომლის მოგვარებისთვისაც ახლავე უნდა შეუდგეთ სამზადისს, ეს არის მომზადებულ კადრების სწორი **განაწილება და მათი სწორი აღრიცხვა.** ცნობილია, რომ ამ საკითხს, დაუდევრად ვეკიდებოდით წარსულში. უამრავი მაგალითების მოყვანა შეიძლება იმის შესახებ რომ სამ. სატრაქტორო სადგურებმა ასობით მოამზადეს მესაჭე-ტრაქტორისტები, ხოლო მათ ხელში შერჩათ ერთეულები.

ასევე ითქმის სხვა დარგის მასიური კვალიფიკაციის კადრებზე, რომელთა ათასებმაც გაიარეს სპეციალური კურსები და გაფანტულნი არიან სხვადასხვა ადგილებზე, მუშაობენ არა დანიშნულებისამებრ. ეს გარემოება შედეგია ამ კადრების განაწილების თვითმიმდინარეობაზე მინდობის. ეს მდგომარეობა ყოველივე აზრს უკარგავს კადრების მომზადების საქმეს.

ცენტრალურმა კომიტეტმა, თავის დადგენილებაში განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ამ საკითხს და სათანადო ორგანიზაციებს დაავალა მწვავედ დაარტყან მსგავსი მოვლენების განმეორებას. იხარჯება სახელმწიფო ფული, იკარგება დრო და შრომა, მხოლოდ ჩვენი უთავბოლობის წყალობით, ყოველივე ეს ძალიან მცირე რეალურ შედეგს იძლევა.

ამასთან დაკავშირებით ცეკამ დაადგინა „წინადადება მიეცეს ყველა ორგანიზაციებს, რომლებიც აწარმოებენ მასიური კვალიფიკაციის კადრების მომზადებას, შემოიღონ პრაქტიკაში კურსანტებთან ისეთი ხელშეკრულების დადება, რომელიც უზრუნველჰყოფს მომზადებულ კადრების თავის სპეციალობაზე სამუშაოდ ხანგრძლივ მიმაგრებას, და რომელშიც გათვალისწინებულ იქნება სათანადო სასჯელი სასამართლოს წესით დეზერტირებისა და მფრინავთა წინააღმდეგ“. საჭიროა სამეურნეო ორგანიზაციები სერიოზულად შეუდგნენ ამ დადგენილების რეალიზაციას.

მასიური კვალიფიკაციის კადრების მომზადების საქმეში არსებულ ცალკე გარღვევების დაუყოვნებლივ ლიკვიდაცია, ბრძოლა სწავლების ხარისხისათვის, ამ თავითვე მუშაობის გაშლა კადრების სწორი აღრიცხვა - განაწილებისათვის,—აქეთკენ უნდა იყოს გადატანილი მუშაობის სიმძიმის ცენტრი.

თ. კარსაველი.

ამხ. ვოროშილოვის წერილი ინჟინერ-ტექნიკოსთა საკავშირო ბიუროსადმი

ძვირფასო ამხანაგებო!

წითელ არმიულ სალამს გიძღვნით თქვენ და თქვენი სახით საბჭოთა კავშირის ყველა ინჟინრებს და ტექნიკოსებს **წითელი არმიისათვის მისი 15 წლის თავზე გადაცემული 25 აეროპლანისათვის, რომლებიც აგებულია საინჟინერო-ტექნიკურ მუშაკთა მიერ შეგროვილი სახსრებით.** თქვენი სურვილი შესრულებული იქნება და იმ ესკადრილიას, რომელშიაც ეს აეროპლანები შევლენ ეწოდება ინჟინერ-ტექნიკოსთა მე-5 საკავშირო ყრილობის სახელი. თქვენი საჩუქარი ერთხელ კიდევ მოწმობს, რომ საბჭოთა ქვეყნის თავდაცვა არის ყველა მშრომელთა საქმე, მათ შორის მუშათა კლასის ტექნიკურ-კვალიფიციური რაზმის—ინჟინერ-ტექნიკოსების საქმეც.

„მეოთხე დამამთავრებელი წლის სესხი“-ს 1-ლი ტირაჟი

მოსკოვი, 3 მარტი. სტირაჟო კომისიის საღამოს სხდომაზე 2 მარტს და დილის სხდომაზე 3 მარტს **ათას მანეთიანი მოგებები ხვდა** მეოთხე დამამთავრებელი წლის სესხის უპროცენტო გამოშვების შემდეგ ობლიგაციებს:

სერია 02.222 ობლიგაცია № 40
სერია 08.126 ობლიგაცია № 44
სერია 10.635 ობლიგაცია № 43
სერია 11.269 ობლიგაცია № 34
სერია 04.743 ობლიგაცია № 41

(ამ სერიების ყველა დანარჩენმა 49 ობლიგაციამ მოიგო თითომ 100 მანეთი).

500 მანეთიანი მოგებები ხვდა:

სერია 00.166 ობლიგაცია № 9
სერია 00.386 ობლიგაცია № 24
სერია 01.172 ობლიგაცია № 50
სერია 01.240 ობლიგაცია № 08
სერია 03.468 ობლიგაცია № 15
სერია 05.514 ობლიგაცია № 46
სერია 05.990 ობლიგაცია № 08
სერია 08.756 ობლიგაცია № 41
სერია 15.357 ობლიგაცია № 30
სერია 16.251 ობლიგაცია № 26
სერია 09.615 ობლიგაცია № 21
სერია 16.830 ობლიგაცია № 25
სერია 17.317 ობლიგაცია № 12
სერია 17.238 ობლიგაცია № 37

(ამ სერიების ყველა დანარჩენმა 49 ობლიგაციამ მოიგო თითომ 100 მანეთი).

(ადს).

საქართველოს ცაკის მისალმება საბჭოთა აფხაზეთს

მხურვალე სალამი აფხაზეთის მშრომელებს, აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 12 წლ. თავზე. აფხაზეთის მშრომელები, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდის ცარიზმის მძიმე უღელს ატარებდენ თორმეტი წლის წინ ეს უღელი მოიშორეს და ლენინის სანიმუშო ნაციონალურ პოლიტიკის მტკიცედ გატარების საფუძველზე შეუდგენ ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობაში მონაწილეობის მიღებას. საქართველოს მშრომელები დარწმუნებულია იმაში, რომ აფხაზეთის მშრომელები როგორც აქამდე, ისე მომავალში, თავდადებით იბრძოლებენ დასახული გეგმების წარმატებით შესრულებისათვის, მაქსიმალურად გამოიყენებენ ამხ. სტალინის მიერ სოფლად მუშაობის შესახებ მოცემულ საპროგრამო მითითებებს და საკ. კ.პ.(ბ) ცეკას და ცენტრ. საკონტროლო კომისიის იანვრის პლენუმის ისტორიულ გადაწყვეტილებებს, რითაც უზრუნველყოფენ ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენებას.

ს.ს.ს.რ. ცაკის თავმჯდომარე
ფილიპე მახარაძე

სამანქანო-სატრაქტორო სადგურების და საბჭოთა მეურნეობების პოლიტგანყოფილებათა იმ მუშაკების კრება, რომლებიც სოფელში მიდიან

მოსკოვი, 3 მარტი. 3 მარტს შესდგა საკ. კ.პ. (ბ) ცეკას სოფლის მეურნეობის განყოფილების მიერ მოწვეული კრება სამანქანო-სატრაქტორო სადგურების და საბჭოთა მეურნეობების პოლიტგანყოფილებათა იმ მუშაკებისა, რომელნიც უახლოეს დღეებში მიემგზავრებიან სოფელში.

კრება გახსნა საკ. კ.პ. (ბ) ცეკას სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგემ და ცეკას მდივანმა ამხ. ლ. მ. კაგანოვიჩმა, რომელსაც დამსწრენი მქუხარე ტაშით შეხვდნენ. მოხსენებით სამანქანო-სატრაქტორო სადგურების და საბჭოთა მეურნეობების პოლიტგანყოფილებათა ამოცანების შესახებ გამოვიდნენ საბჭოთა კავშირის მიწსახკომის პოლიტსამმართველოს უფროსი ამხ. კრინიცკი და საბჭოთა მეურნეობების სახკომის პოლიტსამმართველოს უფროსი ამხ. სომოვი.

ამხ. კრინიცკის და სომოვის მოხსენებათა შემდეგ გამოვიდა საბჭოთა კავშირის მიწათმოქმედების სახალხო კომისარი ამხ. იაკოვლევი, კრების დასასრულს ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა ამხ. კაგანოვიჩმა სამანქანო-სატრაქტორო სადგურების და საბჭოთა მეურნეობების პოლიტგანყოფილებათა უახლოესი პრაქტიკული მუშაობის ამოცანებზე.

დიდი ენთუზიაზმით შეხვდა კრება პოლიტგანყოფილებათა მუშაკების ერთი ჯგუფის წინადადებას გაეგზავნოს მისალმება ამხ. სტალინს. გაისმის ხმები: „გაუმარჯოს პარტიის ცენტრალურ კომიტეტს! გაუმარჯოს მუშათა და გლეხთა მილიონების ბელადს ამხ. სტალინს“.

კრება იხურება „ინტერნაციონალის“ მღერით.

ჩვენი პარტიის ბელადს, საუკეთესო მეგობარს და მასწავლებელს ამხ. სტალინს.

ძვირფასო ამხანაგო სტალინ!

ჩვენ, სამანქანო-სატრაქტორო სადგურების და საბჭოთა მეურნეობების პოლიტგანყოფილებათა მუშაკნი, რომელნიც შევიკრიბეთ საინსტრუქციო თათბირზე მუშაობის ადგილზე გამგზავრების წინ, მხურვალედ ვესალმებით ჩვენს ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს და მხურვალედ გესალმებით შენ, ჩვენი პარტიის საიმედო მესაჭეს, სოციალიზმის პირველ დამკვრელს, სამანქანო-სატრაქტორო სადგურების და საბჭოთა მეურნეობების პოლიტგანყოფილებათა შექმნის ინიციატორს, ჩვენი ქვეყნის მუშათა და კოლმეურნეთა და მთელ მსოფლიოს მშრომელთა საყვარელ ბელადს. ჩვენ შეგნებული გვაქვს პარტიის მიერ ჩვენთვის დაკისრებული ამოცანების მთელი პასუხისმგებლობა. შეუპოვრად, დღითი-დღე ჩვენ განვამტკიცებთ სოფლის პარტიულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს, ვიშრომებთ პარტიის გარშემო საკოლმეურნეო წყობილების ყველა მოწინავე აქტივისტების, კოლმეურნეთა მასების შემჭიდროვებლად იმისათვის, რომ განვამტკიცოთ კოლმეურნეობანი, გადავაქციოთ ისინი ბოლშევიკურ კოლმეურნეობებად, გავანადგუროთ კულაკური წინააღმდეგობის ნაშთები. სიტყვას გაძლევთ, ამხ. სტალინ, რომ ცეკას და ც. საკ. კომისიის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებანი და თქვენ მიერ ცეკას და ც. საკ. კომისიის პლენუმზე და დამკვრელ კოლმეურნეთა ყრილობაზე წარმოთქმულ სიტყვებში მოცემული მითითებანი იქნება ჩვენი მოქმედების უშუალო სახელმძღვანელო ყოველ დღეს, ყოველ საათს.

ჩვენ ბოლშევიკურად შევასრულებთ შენს მითითებებს რევოლიუციური სიფხიზლის შესახებ და საქმით, თავისი მუშაობის პრაქტიკით დავამტკიცებთ, რომ პარტიამ თავისი რიგებიდან შეარჩია ღირსეული ბოლშევიკები, რომელთაც არ აშინებთ არავითარი სიძნელე, რომელნიც არიან მარქს-ლენინ-სტალინის საქმისათვის ერთგული მებრძოლნი.

გაუმარჯოს საკ. კ. პ. (ბ) ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს, რომელსაც მტკიცედ მიჰყავს პარტია და ქვეყანა ახალი გამარჯვებებისაკენ!

გაუმარჯოს მუშათა და გლეხთა მილიონების ბელადს—ამხ. სტალინს!

დღეს, 5 მარტს, საღამოს 7 საათ. სასახლის წითელ დარბაზში

შესდგება საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის

V მორიგი პლენუმი

შემდეგი დღის წესრიგით:

1. თბილისის მრეწველობის საკონტროლო ციფრები 1933 წლ.
2. საქალაქო მეურნეობის სამუშაო გეგმა 1933 წლისათვის.
3. საზოგადოებრივი კვების შესახებ.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივანი [illegible]

უცხოეთში

კომუნისტების დაპატიმრება, კრებების დახურვა ჩხრეკა

დაპატიმრებულია ამხ. ტელმანი

ბერლინი, 4 მარტი. ვოლფის სააგენტო იუწყება:

„რეიხსტაგის დეპუტატი და გერმანიის კომპარტიის ცეკას თავმჯდომარე ერნსტ ტელმანი, 3 მარტს დილით დაპატიმრებულ იქნა ხარატ კუტლსკის ბინაზე (ლიუდვიგშტრასსე, ბერლინის შარლოტენბურგის რაიონი), სადაც იგი იმალებოდა (ადს).

რეიხსტაგის ცეცხლის წამკიდებელმა განაცხადა, რომ იგი არ არის კომუნისტი

(„პრავდა"-ს ლონდონელ კორესპონდენტისაგან).

ლონდონი, 8 მარტი. „დეილი ექსპრეს"-ის კორესპონდენტთან საუბარში გერმანიის რეიხსკანცლერმა ჰიტლერმა განაცხადა, რომ ინგლისის და საფრანგეთის პრესის მტკიცება, თითქოს რეიხსტაგს ცეცხლი წაუკიდეს ნაციონალ-სოციალისტებმა „საზიზღარ ცილისწამებას წარმოადგენს".

იმის დასამტკიცებლად, რომ სიმართლეს მოკლებულია ლონდონში და პარიზში გავრცელებული აზრი, თითქოს, ნაციონალ-სოციალისტებს და მათ საპოლიციო აპარატს დანაშაული მიუძღოდეთ ხანძრის გაჩენაში, ჰიტლერმა მოიყვანა სრულიად არადამარწმუნებელი არგუმენტი: „მე შემეძლო მახლობელ ხეზე ჩამომეხრჩო დაჭერილი კომუნისტი. ეს ერთხელ და სამუდამოდ ბოლოს მოუღებდა უსინდისო ინსინუაციებს, რომ, თითქოს, იგი არის ჩვენი აგენტი".

ჰიტლერის ამ განცხადებასთან დაკავშირებით აქ ფიქრობენ, რომ შესაძლებელია ნაციონალ - სოციალისტები შეეცადონ ამა თუ იმ გზით თავიდან მოიშორონ საპატიმროში დამწყვდეული ვან-დერ-ლიუბე, როგორც მათთვის საშიში მოწმე.

შემდეგ ჰიტლერმა სწრაფად გადაიყვანა საუბარი სხვა ნიადაგზე, დაბეჯითებით არწმუნებდა რა „დეილი ექსპრეს"-ის წარმომადგენელს:

„წარმოიდგინეთ, რომ ბრიტანეთში შეიქმნა ასეთი სიტუაცია, წარმოიდგინეთ, რომ კომუნისტები შეეცადნენ ბუკინგემის სასახლისათვის ცეცხლის წაკიდებას და რომ მათ მოახერხეს თემთა პალატისათვის ცეცხლის წაკიდება. თქვენი მთავრობა მოიქცეოდა ისევე, როგორც მე მოვიქეცი".

როგორც ჩანს, ნაციონალ - სოციალისტების ხელმძღვანელობა ფიქრობდა, რომ უცხოეთი ნდობით შეხვდება და ფაშისტურ ვერსიას რეიხსტაგისათვის ცეცხლის წაკიდების შესახებ.

„დეილი ექსპრეს"-ის კორესპონდენტის შეკითხვაზე ნაციონალ - სოციალისტების მიერ „ბართლომეს ღამის" მომზადების შესახებ, ჰიტლერმა უპასუხა:

„ჩემთვის არ არის საჭირო „ბართლომეს ღამე". კანონის საფუძველზე გამოცემული დეკრეტების საშუალებით ჩვენ დავნიშნეთ ტრიბუნალები, რომლებიც კანონის საფუძველზე გაასამართლებენ სახელმწიფოს მტრებს და კანონის საფუძველზე მოეპყრობიან მათ ისე, რომ ბოლო მოუღონ კონსპირაციებს".

ჰიტლერის ამ პასუხს აქ შემდეგნაირად განმარტავენ: „არ არის გამორიცხული იმის შესაძლებლობა, რომ უცხოეთის პრესაში დროზე გამოქვეყნებული მხილებათა გამო ნაციონალ - სოციალისტები „ბართლომეს ღამის" განხორციელებას, რომლის გეგმა უადრესად დეტალურად აქვთ მათ დამუშავებული, შეცვლიან გერმანიის მუშების ხოცვა-ჟლეტით „კანონიერ საფუძველზე". ტყუილად კი არ იუწყებიან დღეს „დეილი მეილ"-ის და „მორინგ პოსტი"-ს კორესპონდენტები, რომ რეინის ოლქში კვლავ დააპატიმრეს 1.800 კაცი, ვესტფალიაში—850, ბერლინში—150 და სხვ.

იმ დროს, როცა, ცნობების თანახმად, პოლიტიკურ პატიმრებს მხეცურად ეპყრობიან, გაკვირვებას იწვევს პოლიციური ხელისუფლების „ჰუმანიური" დამოკიდებულება დაპატიმრებულ ცეცხლ-წამკიდებელ ვან-დერ-ლიუბესადმი. ამ სუბიექტს გუშინ გერინგმა ნება დართო მიეცა საპატიმროში ინტერვიუ ჰოლანდიის გაზეთის „ტელეგრაფ"-ის კორესპონდენტისათვის. ვან-დერ-ლიუბემ „ტელეგრაფი"-ს კორესპონდენტს განუცხადა:

„მე არა ვარ რომელიმე პარტიის წევრი და არ ვარ რწმენით კომუნისტი. ჩემი მოწოდებაა ბრძოლა კაპიტალიზმის წინააღმდეგ. მე არ ვნანობ იმას, რაც გავაკეთე. ვიცი რაც მომელის და ეს არ არის პირველი შემთხვევა, რომ მე არასასიამოვნო პერსპექტივის წინაშე ვიმყოფები". უკანასკნელმა განცხადებამ პოლიციის პროვოკატორის, რომელიც საპატიმროში ინტერვიუს აძლევს, აქ დიდი მხიარულება გამოიწვია. რაც შეეხება ვან-დერ-ლიუბეს განცხადებას იმის შესახებ, რომ იგი არ არის რომელიმე პარტიის წევრი, რაც დიამეტრალურად ეწინააღმდეგება დაპატიმრების დროს მის მიერ პოლიციისათვის ჰოლანდიის კომპარტიის საწევრო ბარათის გადაცემის ფაქტს,—ამ განცხადებას ხსნიან პოლიტიკური ხელისუფლების პანიკური უკანადახევით ყოვლის შემძლე ფაქტების წინაშე. რამდენადაც პრესაში გამოქვეყნებულია უდავო საბუთები, იმის შესახებ, რომ რამდენიმე წლის წინად ვან-დერ-ლიუბე გამორიცხულ იქნა ჰოლანდიის კომპარტიიდან, პროვოკატორები ცდილობენ დაფარონ კვალი და მოახდინონ ტაქტიკური დივერსია. გამოიყვანონ იგი ეხლა „არა იდეურ კომუნისტად, რომელიც არც ერთ პარტიაში არ ირიცხება".

„მანჩესტერ გარდიან"-ის კორესპონდენტი, რომელიც ჩვეულებრივად საქმეების კურსშია, სწერს:

„რეიხსტაგში გაჩენილი ხანძრის შესახებ მე მტკიცედ დავრწმუნდი ჰოლანდიის ერთ-ერთ არაკომუნისტურ წყაროდან, რომ ვან-დერ-ლიუბე რამდენიმე ხნის წინად გამორიცხულ იქნა ჰოლანდიის კომპარტიიდან, როგორც ჯაშუში".

„დეილი ტელეგრაფ"-ის კორესპონდენტსაც მოჰყავს ცნობა, რომლიდანაც ჩანს, რომ ვან-დერ-ლიუბე აგენტი-პროვოკატორია და, რომელიც აღნიშნავს ბერლინის პოლიციის უცნაურ ქცევას, რომელიც უარს ამბობს დაპატიმრებულ ცეცხლისწამკიდებლის ფოტოგრაფიული სურათის გამოქვეყნებაზე (ადს).

კომუნისტების დაპატიმრება

ბერლინი, 3 მარტი. გუშინ, ვოლფის სააგენტოს გადმოცემით, ბერლინში დააპატიმრეს 140 კაცი — უმთავრესად იმისათვის, რომ ისინი მოუწოდებდნენ ძალადობისა ან გაფიცვისაკენ, ავრცელებდნენ აკრძალულ ლიტერატურას, ნებადაურთველად აგროვებდნენ ფულს გერმანიის კომპარტიის სასარგებლოდ და ატარებდნენ იარაღს. 20 დაპატიმრებულს გამომძიებელმა წაუყენა ბრალდება „ღალატში". ბრალდებულებს უპოვეს ფურცლები, რომლებიც მოუწოდებდნენ ჰიტლერის მთავრობის დამხობისაკენ. დაპატიმრებულთა საქმე გადაეცა უზენაეს პროკურორს.

ბრაუნშვეიგში გაჩხრიკეს კომპარტიის 68 წევრი. ეხება რა ამ ცნობებს, ვოლფის სააგენტო აღნიშნავს: დამახასიათებელია ის ფაქტი, რომ „კომპარტიის ყველა ადგილობრივი აქტივისტები, მათ შორის ადგილობრივი ლანდტაგის ყველა წევრები, უკვე რამდენიმე დღეა რაც არ იმყოფებიან თავის ბინებში". კენიგსბერგში დააპატიმრეს კომპარტიის 40 აქტივისტი და დაშალეს უნებართვოდ მოწყობილი კრება მოჭადრაკეთა კლუბში.

ბრესლავლში გაჩხრიკეს რეფორმისტული პროფკავშირების სახლი. კონფისკაცია [illegible] უყვეს მრავალ ნაბეჭდ მასალას „რკინის ფრონტის" კრება, რომელზედაც უნდა გამოსულიყო რეიხსტაგის ყოფილი თავმჯდომარე სოციალ-დემოკრატი ლებე, აკრძალეს (ადს).

„ფორვერტს"-ის რედაქტორის დაპატიმრება

ბერლინი, 8 მარტი. დააპატიმრეს „ფორვერტს"-ის ერთ-ერთი რედაქტორი შიფი. „ბერლინერ ბერზენცეიტუნგ"-ი აღნიშნავს, რომ შიფი თანამშრომლობდა „დეილი ჰერალდ"-ში, რომელიც, უკანასკნელ ამბებთან დაკავშირებით, აქვეყნებდა მთელ რიგ ცნობებს გერმანიის შესახებ (ადს).

მოწოდება ჰიტლერის მთავრობის დამხობისაკენ

ბერლინი, 8 მარტი. გუშინ შტუტგარტში ჩვეულებრივი რადიოგადაცემის დროს მსმენელებს მოულოდნელად მოესმათ მოწოდება — „ძირს ჰიტლერი! გაუმარჯოს თავისუფლებას". ვოლფის სააგენტოს გადმოცემით, დაპატიმრებულია სოციალ-დემოკრატიული პარტიის 8 წევრი, რომლებმაც გადასცეს ეს მოწოდება. ყველა ისინი მიცემულნი იქნებიან სამართალში სასწრაფო წესით (ადს).

ჩიჩინის და ლინიუანის ოკუპაცია

ჟეხეს პროვინციის ნახევარი იაპონელთა ხელშია

მუკდენი, 3 მარტი. იაპონიის ჯარის რაზმმა მოტეგის ბრიგადის შემადგენლობიდან დილის 11 საათზე, გააფთრებული ბრძოლის შემდეგ, დაიკავა ჩიჩინი. იაპონიის აეროპლანები ყუმბარებს უშენენ ჩინეთის ჯარს, რომელიც უკან იხევს.

დღეს დილით იონიამას რაზმმა ხატორის ბრიგადიდან, კავახარას რაზმთან ერთად, რომელიც შედის ნიშის ბრიგადაში, დაიკავა ლინიუანი.

კოკუცუს სააგენტოს გადმოცემით, გუშინ ღამით, ბეიჩანძის რაიონში ხატორის ბრიგადის მთავარ ძალებსა და ჩინეთის ჯარებს შორის ადგილი ჰქონდა გააფთრებულ ბრძოლას, რაც ამ დილითაც გრძელდებოდა. ჩინეთის ჯარი დიდად დაზარალდა. იაპონელთა მხრივ დაიჭრა ერთი კაცი. ნიშის ბრიგადის მთავარი ძალები ამ დილით გამოვიდნენ ტაიფინსანიდან.

ჩიჩინის და ლინიუანის ოკუპაცია ნიშნავს ჩინეთის პოზიციების პირველი ხაზის დანგრევას. ამჟამად იაპონიის ჯარმა დაიკავა ჟეხეს პროვინციის თითქმის ნახევარი. მაგრამ იაპონელების მიერ დაკავებული რაიონები წარმოადგენენ პროვინციის უფრო ნაკლებად დასახლებულ და ნაკლებად დაცულ ნაწილს. სამხედრო ოპერაციების დაწყების დროს იაპონელი სამხედრო ბელადები მუკდენში აღნიშნავდნენ, რომ ისინი არ მოელიან საგრძნობ წინააღმდეგობას თავდაცვის ამ პირველ ხაზზე, რამდენადაც მას იცავენ ტან იულინის ჯარები, რომლებიც ითვლებიან სუსტ და უდისციპლინო ჯარებად. საერთო დასკვნა ჩინეთის ჯარის თავდაცვის პირველ ხაზზე წარმოებულ სამხედრო ოპერაციებიდან მდგომარეობს იმაში, რომ იაპონიის ჯარი წააწყდა გაცილებით უფრო ძლიერ წინააღმდეგობას, ვიდრე იგი მოელოდა თავდაპირველად. ჩინელებმა განსაკუთრებით ძლიერი წინააღმდეგობა გაუწიეს იაპონელებს შამაშანის რაიონში ჰუიჯუნის ფრონტზე. იაპონელები, რომლებიც ითვალისწინებენ ჩინელების მიერ თავდაცვის პირველ ხაზზე გაწეულ წინააღმდეგობას, ფიქრობენ, რომ მათი წინააღმდეგობა მეორე და მესამე ხაზზე გაცილებით უფრო ძლიერი იქნება (ადს).

5 მარტი ერთიანი საფინანსო დღეა

სადირექტივო ორგანოების დადგენილებით, დღეს 5 მარტს მთელ საქართველოში ტარდება ერთიანი საფინანსო დღე. აღნიშნული დღის მიზანი იმაში მდგომარეობს, რომ ყველა მშრომელს უჩვენოს საფინანსო მუშაობის მნიშვნელობა, საფინანსო მუშაობის მთელი კომპლექსი, დაუკავშიროს საფინანსო ამოცანები სოცმშენებლობის საერთო მსვლელობას და ხელი შეუწყოს მეორე ხუთწლედის პირველი კვარტალის ფინგეგმების მთლიანად შესრულებას.

საფინანსო დღის განმავლობაში ყურადღება უნდა მიექცეს საბიუჯეტო დისციპლინას, საბანკო დაკრედიტებას, სესხების ვადაზე დაბრუნებას, საფინანსო დისციპლინის განმტკიცებას, განსაზოგადოებული სექტორის გადასახადების დროულად გადარიცხვას, მოსახლეობის სახსრების მობილიზაციას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ნებაყოფლობითი გამოსაღების გეგმების შესრულებას

ფინგეგმების შესრულება და საერთოდ საფინანსო მუშაობის წარმატება შეუძლებელია მშრომელთა ფართო მასების მონაწილეობის გარეშე, მასიური მუშაობის გარეშე.

ამიტომ ერთიან საფინანსო დღის განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სახკრედიტის და საშემნახველო საქმის დამხმარე კომისიების მუშაობის გაძლიერებას. [illegible] კომისიების გადახალისებას. ერთად ამ კომისიების მუშაობის შემოწმებასთან უზრუნველყოფილი უნდა იქნას აგრეთვე საბჭოების საფინანსო სექციების კომისიების, საფინანსო მუშაობის დამხმარე ბრიგადების, კოოპბიუროების და სხ. მუშაობის გაძლიერება. და იმ წესით აგება, რომ აღნიშნულ ორგანიზაციათა მუშაობა პრაქტიკულად ეხმარებოდეს ფინგეგმების ვადაზე შესრულებას.

თითოეული წარმოება-დაწესებულებაში უნდა მოეწყოს სპეციალური ბრიგადა, რომელიც ვალდებულია თვალყური ადევნოს დროზე სწარმოებს თუ არა ნებაყოფლობითი გამოსაღების და გადასახადების შეგროვება მუშა-მოსამსახურეთაგან და შეგროვილი თანხების შეტანა სახელმწიფო სალაროში; მუშა-მოსამსახურეთა მთელი რაოდენობა არის თუ არა ჩაბმული სესხზე ხელის მოწერაში, და პირად დაზღვევაში, სამომხმარებლო კოოპერაციაში და სხ.

ბრიგადებმა უნდა გამოიკვლიონ აგრეთვე რამდენად არის წარმოება დაწესებულებებში დაცული საბიუჯეტო დისციპლინა, ეკონომიის რეჟიმი, რამდენათ არის შემცირებული ადმინისტრაციული საბიუჯეტო ხარჯები. მშენებელ საწარმოებში, გამოკვლეული უნდა იქნას რამდენად არის დაცული ხელმძღვანელ ორგანოების მიერ დაწესებული საშენებელ მასალის ფასები, რამდენად არის ათვისებული გახსნილი კრედიტი—ლიმიტი, რამდენად ეფექტიურია გაწეული ხარჯები და სხ.

თვითეულ წარმოება დაწესებულებაში უნდა ჩატარდეს საფინანსო მუშაობის შემოწმება, რომ ამის საფუძველზე უზრუნველყოფილი იქნეს შემჩნეულ ნაკლოვანებათა გამოსწორება და ფინგეგმების ვადაზე მთლიანად და განუხრელად შესრულება.

ამ საქმეში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს პრესას, სარაიონო, მრავალტირაჟიან და კედლის გაზეთები უშუალოდ უნდა ჩაებან აღნიშნულ ღონისძიების ჩატარებაში უნდა გამოიჩინონ თავის ფურცლებზე საუკეთესო მუშაობის მაგალითი, რომ ეს გამოცდილება სხვაგანაც იქნეს გადატანილი; უნდა ამხილონ მუშაობის სუსტი მომენტები გამოარკვიონ ჩამორჩენის მიზეზი და თვალყური ადევნონ თუ როგორ ახორციელებს წარმოება-დაწესებულებები ჩამორჩენის გამოსასწორებლად დასახულ ღონისძიებებს.

ტექნიკური რეკონსტრუქცია ტრანსპორტის ვიწრო ადგილიდან გამოყვანის მთავარი პირობაა

ა.-კ. რკ. გზაზე ახალი ტექნიკის ათვისებისათვის ბრძოლა არაა გაშლილი სათანადო ტემპებით

ტექპროპაგანდა ა.-კ. რკინის გზაზე

ტექპროპაგანდის როლი ტრანსპორტზე მეტად მნიშვნელოვანია, მაგრამ ამ საქმეს დღემდე ძალზე ნაკლები ყურადღება ექცეოდა. მხოლოდ გასული წლის მიწურულში გაიშალა ეს მუშაობა. ამიერ-კავკასიის რკინის გზის დირექციასთან ჩამოყალიბდა სპეციალური ტექნიკური პროპაგანდის განყოფილება, რომელსაც დაეკისრა ამ საქმის ხელმძღვანელობა. ეს განყოფილება 1933 წ. მეოთხე კვარტალში დაარსდა და უნდა ითქვას, რომ მან ამ მოკლე ხნის განმავლობაში შესძლო მუშაობის გაშლა და სათანადო შედეგებსაც მიაღწია.

ამჟამად მთელს გზაზე ჩამოყალიბებულია ტექპროპაგანდის 437 წრე, სადაც ჩაბმულია 12.000 კაცი. ამასთანავე გაშლილია დიდი მასიური მუშაობა. ეს გამოიხატება თითქმის ყველა საწარმოო და სამეურნეო კუთხეებში ტექნიკურ სასამართლოების მოწყობაში, მასიურ-ტექნიკურ საღამოების მოწყობაში, ტექნიკურ ვიქტორინების, ტექნიკური ბრძოლების გამართვაში, სხვა და სხვა სახის წრეების ჩამოყალიბებაში და სხვ.

ყველა ამ ღონისძიებებმა უაღრესად დიდი ნაყოფი გამოიღო მასების მობილიზაციისა და მათი ტექნიკის დაუფლების საკითხებით დაინტერესების მხრივ.

ამის ნათელ მაგალითს წარმოადგენდა, სხვათა შორის, სტალინის სახელობის სარემონტო ქარხანაში, თბილისის სამორთქმავლო და სავაგონო დეპოებში და ლენინაკანში გამართული. ტექნიკური სასამართლოები.. აქ ტექსასამართლოები მოწყობილი იყო წუნის საკითხზე და უნდა ითქვას, რომ ამ ღონისძიებამ დიდათ შეუწყო ხელი წუნის პროცენტის შემცირებას ამ საწარმოო ერთეულებში. წუნის შემცირების საქმეში დიდი როლი ითამაშეს აგრეთვე ტექპროპაგანდის წრეებმაც, რომელთა მოქმედებით წუნი თბილისის დეპოში 27 პროცენტიდან 7 პროცენტამდე შემცირდა. ასეთივე შედეგები იქნა მიღებული თბილისის სარემონტო ქარხანაში.

ტექპროპაგანდის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას ამიერ-კავკასიის რკინის გზაზე გამოცდილების გაცვლა-გამოცვლა შეადგენს. ეს მუშაობა უმთავრესად ტარდება მასიურ ტექნიკურ საღამოებზე. ასეთი საღამოები ჩატარებულია უკვე თბილისის სავაგონო და სამორთქმავლო დეპოებში, განჯაში, ბაქოში, ბალაჯარაში, ლენინაკანში და სამტრედიაში. იქ სწარმოებდა გაწყვილებულ ბრიგადების მე-3 საკავშირო კონკურსში მონაწილე ბრიგადის გამოცდილებათა ურთიერთ გაზიარება. ამასთანავე მოწყობილი იყო კონსულტაციები ტექნიკურ საკითხებზე და მუშათა წინადადებების შეგროვება. სულ შემოტანილი იყო 36 წინადადება.

გზაზე სულ ჩამოყალიბებულია 18 საკონსულტაციო პუნქტი, მაგრამ უნდა ითქვას, რომ მათი მუშაობა სუსტია. ეს გარემოება აიხსნება პროფორგანიზაციების ნაკლები ყურადღებით ამ საკითხებისადმი და ინჟ.-ტექ. სუსტი მუშაობით. ეს საყვედური ითქმის უმთავრესად მეორე საექსპლოატაციო რაიონის ინჟ.-ტექნიკოსების მიმართ, რომლებიც სუსტ მონაწილეობას იღებენ ტექნიკურ კონსულტაციებში. უკეთ მუშაობენ მე-4 რაიონის ინჟ-ტექნიკოსები.

დიდ დაბრკოლებას განიცდის ტექპროპაგანდა ლიტერატურის სიმცირის მხრივ. მართალია გზაზე არსებობს მოძრავი ბიბლიოთეკები, მაგრამ ისინი ღარიბი არიან ლიტერატურით, განსაკუთრებით არ მოიპოვება ლიტერატურა ნაციონალურ ენებზე. გზის ტექპროპაგანდის განყოფილებას დასახული აქვს ამ მხრივ პრაქტიკული ღონისძიებები, მაგრამ მათ განხორციელებას ხელს უშლის ქაღალდის უქონლობა. შესაძლებლობის ფარგლებში განყოფილება ახერხებს მხოლოდ სპეციალურ დეკადურ გაზეთის და ბიულეტენების გამოცემას.

ტექნიკის დაუფლების შესახებ ამხ. სტალინის მიერ წამოთქმულ სიტყვის ორი წლის თავზე ტარდება ტექპროპაგანდის შემოწმების ერთთვიური. ამასთანავე ტარდება საგზაო კონკურსი ტექნიკის დაუფლებაზე.

დასასრულ, ხაზი უნდა გაესვას ერთ გარემოებას, სახელდობრ იმას, რომ ზოგიერთი სამეურნეო ერთეულების ხელმძღვანელები, მიუხედავად გზათა კომისარიატის და გზის დირექციის კატეგორიული წინადადებებისა, ტექპროპაგანდის გაძლიერებას არ აქცევენ ჯეროვან ყურადღებას და ადგილი აქვს შემთხვევებს, როდესაც სპეციალურად ამ საქმისათვის გამოყოფილ მუშაკებს გადაჰყავთ სხვა სამუშაოზე. ამ გარემოებას უნდა მიექცეს სერიოზული ყურადღება.

„ტექნიკა რეკონსტრუქციის პერიოდში სწყვეტს ყველაფერს". საჭიროა ტრანსპორტის მუშაკების შეიარაღება ამ ტექნიკით, რათა მათ შესძლონ იმ ამოცანების მთლიანად შესრულება, რომელსაც მათ აკისრებს პარტია, ხელისუფლება და ჩვენი სახალხო-სამეურნეო მშენებლობა

ტ.

დავეუფლოთ ელექტროფიკაციის რთულ ტექნიკას

პირველი ხუთწლედის პერიოდში ჩვენ მივაღწიეთ სურამის უღელტეხილის ელექტროფიკაციას. სურამის უღელტეხილის ელექტროფიკაცია — ეს, რკინის გზის ტრანსპორტის „ვიწრო ადგილიდან გამოყვანა, ეს გამოსავალია იმ მდგომარეობიდან, როდესაც რკინის გზის ტრანსპორტი ვერ ეწევა საერთო სახალხო მეურნეობის ზრდას და ყველა იმ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას, რომლებსაც ა.-კ. რკ. გზას უყენებენ.

უნდა ითქვას, რომ სურამის უღელტეხილი ძირითადათ მომზადებულია ელექტროწევის ექსპლოატაციისათვის.

მაგრამ საცდელი ექსპლოატაციის პერიოდმა გვიჩვენა, რომ წევის ქვესადგურების, მათი მოწყობილობების, ახალ მოტორ-გენერატორების, ელექტრომავლების და საკონტაქტო ქსელის ელექტროფიკაციის მუშაკების მიერ დაუფლების ხარისხი დაბალია. მით ჯერ კიდევ სავსებით არ არის ათვისებული ეს ახალი ტექნიკა ისე, რომ იმუშაოს მინიმალური შეცდომებით.

უკანასკნელ ხანებში ტექნიკის დაუფლების საქმე უმეტეს ნაწილად თვითდინებით მიდიოდა, ზოგიერთ სპეციალობათა მიხედვით კადრების მომზადება სწარმოებდა ნორმალურად და რეგულიარულად, ხოლო მთელ რიგ შემთხვევებში მოწყობილი წრეები იშლებოდა ისე, რომ ვერ ასწრობდნენ გამაგრებას. და ტექნიკის რეგულიარული დაუფლების გზაზე შედგომას.

ამ საქმის გამოსასწორებლად სტალინისში ჩამოყალიბდა ტექნიკის ცენტრალური სახლი, რომელიც წარმოადგენდა ტექპროპაგანდის დარგში წარმოებულ მუშაობის მომწესრიგებელ ცენტრს ა.-კ. რკ. გზ. ელექტროფიცირებულ უბანზე. ტექნიკის სახლი შესდგება 4 ოთახისაგან, რომელთაგან, ერთი წარმოადგენს გამოფენის დარბაზს, ბიბლიოთეკას და სამკითხველოს, ხოლო სამი დანარჩენი ელექტროდეპოს, წევის ქვესადგურების და საკონტაქტო ქსელის ტექნიკურ კაბინეტებს. ყველა ოთახში მოიპოვება დეტალები და ექსპონატები, ფოტოპლაკატები. ნახაზები, სამეცნიერო დაფები და სახელმძღვანელოები, ბიბლიოთეკას მოეპოვება 8.000-მდე ტექნიკური და საერთო - პოპულიარული წიგნი. სახლში რეგულიარულად სწარმოებს წრეების მეცადინეობა. უკვე შერჩეულია ტექპროპაგანდისტების აქტივი, მოიპოვება ტექნიკური ლიტერატურის მთელი რიგი [illegible].

ტექნიკის სახლი უშვებს პერიოდულ ნაბეჭდ ფურცელს და კედლის გაზეთს. სახლთან ჩამოყალიბებულია ტექპროპაგანდის საბჭოთა და მეთოდბიურო, რომლებიც აწესრიგებენ მთელ მუშაობას.

სახლის ფილიალებად ითვლება ტექნიკური კაბინეტები მოლითში, ზესტაფონში და გორში და ტექნიკური კუთხეები კასპში, ხაშურში და ნავთლუღში. უკანასკნელები მომარაგებული არიან ტექნიკური ხასიათის ლიტერატურით, ფოტოპლაკატებით და სასწავლო დეტალებით.

ეხლა ტექპროპაგანდის ქსელში ჩაბმულია წევის ქვე-სადგურების მუშაკთა 80 პროცენტი, ელექტროდეპოს — 65 პროცენტი და საალმშენებლო სპეციალობის და საკონტაქტო ქსელის მთელი რიგი მუშაკები. ელექტროდეპოში სისტემატიურად მეცადინეობს 4 წრე, წევის ქვე-სადგურებში — 3 წრე, საკონტაქტო ქსელზე — 1 წრე და საალმშენებლო სპეციალობაზე — 1 წრე. სულ, ერთი თვის განმავლობაში ამ წრეებში ჩაება 250 კაცი.

ტექპროპაგანდაში ჩაბმულია გზათა სახ. კომისარიატის ელექტროფიკაციის ცენტრალური სამმართველოს საგამოკვლევო ინსტიტუტის ფილიალი, რომელმაც იკისრა ვალდებულება სისტემატიურად დაამუშაოს ელექტროფიკაციის საინჟინერო-ტექნიკურ მუშაკებთან ტექნიკის ახალი მიღწევები.

5-10 თებერვლამდე მოეწყო სამი ტექნიკური სასამართლო ელექტროდეპოში, საკონტრაქტო ქსელზე და წევის ქვე-სადგურებში.

განზრახულია ტექნიკური კონფერენციის ჩატარება, სადაც მოხდება ტექპროპაგანდის შედეგების შეჯამება და დასახვა შემდგომი მუშაობის პერსპექტივები. კონფერენციის მუშაობის დღეებში ჩატარდება ტექნიკური ბრძოლები, ტექ-ვიქტორინები, გაიხსნება ტექნიკური წიგნის გამოფენა და სხვა.

სტალინისში იხსნება ბავშვთა ტექნიკური სადგური, სადაც იმეცადინებენ მუშების და საინჟინერო - ტექნიკური მუშაკების შვილები, რომლებიც სიყრმიდანვე დაიწყებენ რკინის გზის ტრანსპორტის ტექნიკის ათვისებას.

შედგენილია მუშაობის წლიური გეგმა. უკვე მზად არის დასაბეჭდად ორი წიგნი. 12 ინჟინერთან დადებულია ხელშეკრულება ტექნიკურ - პოპულიარული წიგნების დაწერაზე. ელექტროფიკაციის ინჟინერ-ტექნიკოსები და მუშები ჩაებნენ კონკურსში პოპულიარული ტექნიკური წიგნის დაწერაზე.

მთელი სურამის უღელტეხილი გზათა სახალხო კომისარიატის ტექპროპაგანდის ცენტრალური სამმართველოს უფროსის ამხ. ხალატოვის მიერ გამოცხადებულია საცდელ - საჩვენებელ უბნად.

უნდა აღინიშნოს, რომ მთელი რიგი ინჟინრები, როგორც მაგალითად ამხ. ქარუმიძე, პაიჭაძე, შუბლაძე და გაბაშვილი აქტიურ მონაწილეობას იღებენ ტექპროპაგანდაში და სისტემატიურად მეცადინეობენ კვალიფიციურ მუშებთან.

ელექტრომემანქანეების ნაწილმა უკვე ჩააბარა გამოცდა ტექწრეებში მეცადინეობის შემდეგ ელექტრომავლის დამოუკიდებლად მართვის უფლებაზე.

რკინის გზის ტრანსპორტი პარტიის დირექტივების საფუძველზე აწარმოებს მედგარ ბოლშევიკურ ბრძოლას თავის ჩამორჩენილობის დასაძლევად, თავის სოციალისტური რეკონსტრუქციისათვის. ამ ბრძოლაში ტექნიკის ათვისების პრობლემა გადამწყვეტ როლს თამაშობს.

სახალხო მეურნეობის არც ერთი დარგი ისე არ არის დაკავშირებული უშუალოდ ტექნიკური რეკონსტრუქციის საკითხებთან, როგორც რკინის გზის ტრანსპორტი, რომელიც თავის განვითარების თანამედროვე ეტაპზე ყველაზე მეტად საჭიროებს ტექნიკის ნამდვილ ბოლშევიკურ ათვისებას.

ახალი და სერიოზული ჩვენთვის—ელექტროფიკაციაა. მისი ათვისება საჭიროა. მოცემულია ყველა პირობები. საჭიროა მხოლოდ ხელმძღვანელ მუშაკების და მუშათა მთელი მასის აქტივობა. მეორე ხუთწლედი არის ტექნიკის ათვისების ხუთწლედი და სწორედ ამისათვის სწარმოებს ბრძოლა.

ს. კოტჩენკო

მუშა-ქალთა საერთაშორისო კომუნისტური დღის ჩატარების შესახებ 1933 წ. 8 მარტს

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილება

მუშა-ქალთა საერთაშორისო კომუნისტური დღე — 8 მარტი მიმდინარე 1933 წლის უნდა ჩატარდეს როგორც მასიურ-პოლიტიკური კამპანია შემდეგი ლოზუნგით: ყველა ეროვნების მშრომელ ქალთა ფართო მასების, მუშათა ცოლების, კოლმეურნე ქალების, საბჭოთა მეურნეობების მუშა-ქალების და ერთპიროვნულ მეურნე გლეხ-ქალების მობილიზაცია ყოველდღიურ პრაქტიკულ, საწარმოო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მუშაობისათვის სოციალისტური მშენებლობის მთელ ფრონტზე, ისეთ ღონისძიებათა გატარების საფუძველზე, როგორიცაა: **ჩვენი ქვეყნის თავდაცვის უნარის შემდგომი განმტკიცება, მეორე ხუთწლედის პირველი წლის სახალხო - სამეურნეო გეგმის შესრულება, საბჭოების განმტკიცება, სოციალისტური ფაბრიკების ათვისება, ბოლშევიკური კოლმეურნეობების შექმნა, თავდადებულ და კულაკისა და კულაკურ საბოტაჟის წინააღმდეგ ბრძოლაში შემოწმებულ რევოლუციურ საკოლმეურნეო აქტივის შექმნა და აღზრდა. შრომის ნაყოფიერების და მოსავლიანობის მაქსიმალურად გადიდება, მოწინავე ტექნიკის დაუფლება, საგაზაფხულო სასოფლო - სამეურნეო კამპანიის წარმატებით ჩატარება.**

ქალთა საერთაშორისო კომუნისტურ დღეს — 8 მარტს წელს კაპიტალისტური ქვეყნები ხვდებიან ისეთ პირობებში, როცა იზრდება კაპიტალისტური კრიზისი და ხდება კაპიტალისტური ქვეყნების ფაშიზაცია, როგორც უკანასკნელი საშუალება იხსნან მომაკვდავი და ძირმომპალი კაპიტალისტური მსოფლიო და ამ ნიადაგზე უაღრესად მწვავდება კლასობრივი წინააღმდეგობანი, როცა ხდება კაპიტალისტური მსოფლიოს დანაწილება ორ სამკვდრო სასიცოცხლოდ მებრძოლ კლასად — კაპიტალისტების და მშრომელი პროლეტარების კლასებად და კაპიტალიზმის ყველა ქვეყნებში სწრაფად ძლიერდება რევოლუციური ქარიშხალი; მშრომელი ქალები ამ დღეს ხვდებიან მათი შრომის საშინელი ექსპლოატაციის, უფლებო მდგომარეობის, კაპიტალისტური ექსპლოატაციის უსაშინელესი ჩაგვრის პირობებში, რასაც განიცდიან ისინი მთელ მუშათა კლასთან და მშრომელ გლეხობასთან ერთად.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი, საბჭოთა კავშირის ცაკის ა. წ. 23 თებერვლის დადგენილების საფუძველზე, იღებს რა მხედველობაში უდიდეს მიღწევებს სოციალისტური მშენებლობის ყველა დარგებში და იმ განსაკუთრებულ პირობებს, რომელშიაც 1933 წელს ხვდებიან მშრომელი ქალები საერთაშორისო კომუნისტურ დღეს, წინადადებას აძლევს აფხაზეთის ა. ს. ს. რესპუბლიკას, აჭარისტანის ა. ს. ს. რესპუბლიკას და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს, თბილისის, ქუთაისის და ფოთის საქალაქო საბჭოებს და ყველა რაიაღმასკომებს ჩაატარონ შემდეგი ღონისძიებანი:

1. ჩაატარონ ქალაქებსა, რაიონებსა და სოფლებში საბჭოთა ქალთა აქტივის კონფერენციები, შეკრებები და კრებები, რომლებზედაც მოსმენილ იქნას მოხსენებანი: „საქ. კ. პ. (ბ) ცეკას უკანასკნელი პლენუმის, საბჭოთა კავშირის ცაკის მესამე სესიის შედეგები და ქალთა აქტივის ამოცანები" და „დამკვრელ კოლმეურნეთა პირველი ყრილობის გადაწყვეტილებანი".

კონფერენციების, შეკრებების და კრებების მიზანს უნდა შეადგენდეს ქალთა ფართო მასების ჩაბმა ბრძოლაში ისეთი ამოცანებისათვის, როგორიცაა: ახალი ტექნიკის დაუფლება, სამრეწველო საწარმოებსა, საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში. შრომის ნაყოფიერების გადიდება და შრომის დისციპლინის განმტკიცება საწარმოებსა, საბჭოთა მეურნეობებსა, კოლმეურნეობებსა და სამანქანო - სატრაქტორო სადგურებში, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება, კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ-სამეურნეო კამპანიის მოსავლიანობის გადიდება, საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანიის საბრძოლო მომზადება და ჩატარება; ტრაქტორის, ცოცხალი გამწევი ძალის და სხვა სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის უკეთეს რემონტი და უკეთ გამოყენება, თესლის შეგროვება, მისი გაწმენდა და შენახვა, სარეველა ბალახების მოსპობა, მუდმივი ბრიგადების მოწყობა და ამ ბრიგადებში არსებული ძალების სწორად განაწილება, ქალთა კადრების მომზადება, რევოლუციური კლასობრივი სიფხიზლის გამძაფრება და სოციალისტურ საკუთრების დაცვა.

2. 8 მარტის მომზადების და ჩატარების წინასწარი მუშაობა გამოყენებულ იქნას ყურადღების გასაძლიერებლად ქალთა შორის მუშაობისადმი საბჭოების, სამრეწველო საწარმოების, კოლმეურნეობების, კოოპერატიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხაზით, მუშაობის შესამოწმებლად ქალთა კადრების დაწინაურების და მათი შრომის სწორად გამოყენების დარგში, მათი მუშაობის პირობების შესასწავლად და ქალების დასაწინაურებლად ხელმძღვანელ სამუშაოზე საბჭოების და სხვა ორგანიზაციების ყველა რგოლებში.

3. საბჭოების სექციების და დეპუტატთა ჯგუფების მეშვეობით მოეწყოს კულტურულ - საყოფაცხოვრებო დაწესებულებების: საბავშვო ბაღების, კერების, მოედნების, ბაგების, სკოლების, სავადმყოფოების, სამრეცხაოების და სხვ. დათვალიერება და მათი მუშაობის ფართოდ შემოწმება მუშა ქალების, კოლმეურნე ქალების, დიასახლისების და მშრომელ ერთპიროვნულ გლეხ-ქალთა ძალებით. სასოფლო ადგილებში ჩატარდეს მზადება იმისათვის, რომ საყოფაცხოვრებო დაწესებულებებმა მომსახურება გაუწიონ სას.-სამ. სამუშაოებს საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანიის პერიოდში.

4. გამოვლინებულ და დაჯილდოვებულ იქნან საუკეთესო დამკვრელი ქალები, სასოფლო საბჭოების თავმჯდომარეები, სექციონერი და დელეგატი ქალები, მუშა და კოლმეურნე ქალები და მოეწყოს საუკეთესო ტრაქტორისტ, ბრიგადირ, მწველელ და სხვ. ქალთა კონკურსი.

5. ფაბრიკებსა და ქარხნებში ფართოდ გაიშალოს კამპანია ქალთა შრომის კვალიფიკაციის ამაღლებისა და ტექნიკის დაუფლებისათვის, ჩატარდეს ღირსეულ მუშა-ქალების დაწინაურება უფრო საპასუხისმგებლო თანამდებობებზე.

6. ნაციონალურ უმცირესობათა რაიონებში მიღწეულ იქნას იმ ღონისძიებათა მაქსიმალური განხორციელება, რომლებიც დასახულია საბჭოთა ხელისუფლების მიერ, ქალთა განთავისუფლების და საყოფაცხოვრებო ბოროტმოქმედებათა წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში.

7. მოეწყოს ქალთა სარეწაო არტელების მუშების დათვალიერება და შემოწმება, გაუმჯობესდეს მათი მუშაობის მდგომარეობა და ფართოდ იქნან ჩაბმული ამ არტელებში ქალები, განსაკუთრებით კი ადგილობრივი ეროვნებათა ქალები.

8. ქალთა საერთაშორისო კომუნისტური დღე — 8 მარტი ფართოდ იქნას გამოყენებული მუშა-ქალების, საბჭოთა მეურნეობების, მუშა-ქალების, კოლმეურნე ქალების, დიასახლისების და მშრომელ ერთპიროვნულ მეურნე ქალების დასარაზმავად კლასობრივი მტრების — კულაკების, ქალაქსა და სოფელში კაპიტალისტური ელემენტების ნაშთების წინააღმდეგ საბრძოლველად, პარტიის გენერალური ხაზის გატარებისა და მეორე ხუთწლედის პირველი წლის სახალხო - სამეურნეო გეგმის წარმატებით შესრულებისათვის საბრძოლველად.

9. წინადადება მიეცეს აფხაზეთის ა. ს. ს. რესპუბლიკას, აჭარისტანის ა. ს. ს. რესპუბლიკის და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს, თბილისის, ქუთაისის და ფოთის საქალაქო საბჭოებს და ყველა რაიაღმასკომებს წარმოადგინონ საქართველოს ცაკში [illegible] მასალა ამ დადგენილების ცხოვრებაში გატარების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე [illegible] მახარაძე

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი — თ. ჟღენტი

შესწორება

ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში გამოქვეყნებულ საქ. კ. პ. (ბ) ც.ს.კ. პრეზიდიუმის შემადგენლობაში გაპარულია შეცდომა: შახუფაროვას ნაცვლად უნდა იყოს შახსუვაროვი, პარტკოლეგიის წევრთა შემადგენლობაში—მხეიძის ნაცვლად ჩხეიძე და პოპოვის ნაცვლად იუსუპოვი.

ქრონიკა

საგზაო ინჟინერ-ტექნიკ. რესპუბლიკანური თათბირი

დღეს—5 მარტს დილის 12 საათზე პროფსაბჭოს მცირე დარბაზში გაიხსნება საგზაო ინჟინერ-ტექნიკოსთა რესპუბლიკანური თათბირი.

როკის, მამისონის და ქვენამის გადასასვლელთა ჰიდრომეტეოროლოგიური პირობები რკინის გზის ვარიანტებთან დაკავშირებით

დღეს, საღამოს 7 საათზე სახუნივერსიტეტის გეოგრაფიულ კათედრის ბინაზე შესდგება საქართველოს გეოგრაფიულ საზოგადოების ჰიდროლოგიური სექციის სხდომა, რომელზედაც მოსმენილ იქნება ამხ. ზ. ჭირაქაძის მოხსენება: „როკის, მამისონის და ქვენამის გადასავალთა ჰიდრომეტეოროლოგიური პირობები რკინის გზის ვარიანტებთან დაკავშირებით".

„სალიტერატურო გაზეთი"

გამოვიდა „სალიტერატურო გაზეთი" № 5.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

სრულიად საქართველოს წითელგვარდიელთა—წითელ პარტიზანთა და 1905 წლის რევოლუციის რაზმელთა საბჭო ამით აცხადებს, რომ წითელგვარდიელთა და პარტიზანთა სამხედრო პოლიტიკური ცოდნის და მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამოკვლევის მიზნით ა.-წ. 1 თებერვლიდან 20 მარტამდე 19 საათიდან ყოველდღიურად (დასვენების დღეების გარდა) საბჭოს შენობაში (ელბაქიძის დაღმართი № 12) სწარმოებს უკანასკნელად წმენდა გავლილ წითელგვარდიელთა — პარტიზანთა აღრიცხვა. აღრიცხვაზე გამოცხადება ყველასათვის სავალდებულოა.

—:—

მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტში 5 მარტს, საღამოს 7 საათზე მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის დარბაზში (რუსთაველის პროსპ. № 21) შესდგება მოხსენება თემაზე: „კ. მარქსის მოძღვრება სახელმწიფოს შესახებ". მოხსენება მიძღვნილია კარლ მარქსის გარდაცვალების 50 წლისთავისადმი. მომხსენებელი ამხ. ეფიმოვი.

შესვლა თავისუფალია.

საქ. კ.პ. (ბ) თბილისის კომიტეტი წინადადებას აძლევს ქვემოდჩამოთვლილ ამხანაგებს სამი დღის ვადაში გამოცხადდენ თბილისის კომიტეტის საღრიცხვო სტატისტიკურ განყოფილებაში ამხ. სიდოროვთან: ტრიფონ კამულარია, ამროსი კოვალიშვილი, ვასილისა კერესელიძე, ივანე კეშალაშვილი, გრიგოლ კიზირია, ალექსანდრე კირიანოვი, ეფროსინე კოვალენკო, ელისაბედ ქიტიაშვილი, სტეფანე კლიმენკო, გრიგოლ კოზლოვი, მალაქი კობერიძე, ლეონიდე კოკოევი, ნიკოლოზ ქორიძე, ნესტორ კორინთელი, ალექსი კრასიკნიკოვი, ანასტასია კოროლენკო, ნესტორ ქორქაძე, პავლე კრუპენკო, ტასონ კსუროვი, ბიქტორ კუზნიცოვი, კონსტანტინე ქაჯაია, დავით კუჭავაძე, დომენტი ლობჟანიძე, დავით ლობჟანიძე, ალექსანდრე ლუარსაბიძე, ანდრია მაღალაშვილი, გიორგი მაისურაძე, ოლღა მაზანაშვილი, ივანე მაისურაძე, ანდრია მალცევი, არჩილ მამულაიშვილი, ნიკოლოზ მამუკაშვილი, კონსტანტინე მამულაშვილი, ანაიდა მანდინიანი, ვლადიმერ მანდრიკი, არამ მანუკიანი, სედრაკ მანუკიანი, გიორგი მარგიევი, მათეოს მარიკოვი, ივანე მარკაროვი.

საოპერო

5 მარტი 13 აბ. 9 წარ	6 მარტს 17 აბ 9 წარ	7 მარტი 19 აბ. 9 წარ.
ჩიო ჩიო-სანი	კარმენი	აიდა

დაიწყო მორიგი მე-4 აბ. შესატანის მიღება. ნ. 253

სახელმწიფო დრამა რუსთაველის [illegible]

5 მარტს აბ. გარეშე	6 მარტი აბ. გარეშე	9 მარტი 7 აბ. 6 წარ.
[illegible] საქართველოში	ხათიჯე	ოტელო

აბონემენტის მე-7 [illegible]. მორიგი პრემიერა—ჯონ ხტრიტ. 255

[illegible]

5 მარტი აბონემ. გარეშე	6 მარტი აბ. გარეშე	7 მარტი [illegible] 3 აბ. 10 წარ
ლამარა	ლამარა	in tirannos

ბილეთები იყიდება. დასაწყისი 7 ნახ. საათზე. ნ. 254

2 მარტიდან სახკინმრეწვის კინო-თეატრები

ოქტომბერი [illegible] 8.30 [illegible] 10.30	[illegible] ფილმი 26 კომისარი
დამკვრელი სეან. 6. 7.40 და 10-30	[illegible] ჩვენი სტუმართმოყვარეობა [illegible] № 2
კინო დარბაზი 5.30 7 9.30	[illegible] ფილმი მეზღვაურ ივანეს სამშობლოს [illegible] საბჭოთა საქართველო № 1
რ. ლიუქსემბურ. სახ. კინო [illegible]	[illegible] ფილმი შეხვედრი
სპარტაკი [illegible] 6.30. 8.30. 1-30	[illegible] ფილმი მთის ბალადა [illegible] № 50
ტექპროპაგანდის თეატრი დამკვრელთან სეან. 7-30 [illegible]	[illegible] ფილმი აბორტი
ოქტომბერი დღისით 12.	[illegible] ფილმი კაცი მარტო დარჩა
რ. ლიუქსემბურ. სახ (დღისით) 12 ს	[illegible] ფილმი ჭორი
საბავშვო კინო დამკვრელთან [illegible] 12, 2.	საბავშვო სურათი პატარები და დიდები

თბილისის საბჭოსთან არსებული წყალდიდობასთან მებრძოლი ცენტრალური კომისია

წინადადებას აძლევს ყველა დაწესებულებას, ორგანიზაციას და პირს, რომელთა საწყობებსაც ემუქრება წყალდიდობა, სამი დღის ვადაში წარმოადგინონ თბილისის საბჭოს სამდივნოში (თავისუფლების მოედანი 1 ოთ. № 11) (ცნობები: 1) იმ ქონების რაოდენობის შესახებ. რომელიც გატანილ უნდა იქნეს წყალდიდობის შემთხვევაში და 2) გამოზიდვის დაწვრილებითი გეგმა.

ამის შეუსრულებლობისათვის დამნაშავენი მიცემულნი იქნებიან სასტიკ პასუხისგებაში.

კომისიის თავმჯდომარე საბჭოს თავ-რის მოადგილე ჭურღულია.

თბილისის აღმასკომის მომარაგების განყოფილ. დადგენილების თანახმად

ცხადდება მორიგე პურის დუქნების სია იმ მოქალაქეთა მისამაგრებლად 4 მარტიდან, რომელთაც აქამდის ვერ მოასწრეს მიმაგრება საპატიო მიზეზების გამო (ავადმყოფობა, მივლინება)

შერეული წერტილები:	ღია წერტილები:
1. № 5 საბჭოს ქუჩა № 143.	15. № 31 კლარა ცეტკინის 220
2. № 25 ვლადიმირის № 2.	16. № 15 [illegible] 12.
3. № 18 [illegible]ბანოვის № 168.	17. № 20 მალაქიის 40.
4. № 4 [illegible] 9.	18. № 52 [illegible] 39.
5. № 30 ალიხანოვის 37.	19. № 62 [illegible] 4.
6. № 83 [illegible] მოედანი.	20. № 77 ლაზარევის 26.
7. № 69 კახეთის 43.	21. № 76 [illegible] 1.
8. № 104 ნავთლუღი	22. № 59 კახეთის 55
9. № 13[illegible] [illegible] ბაზარი.	23. № 171 სამხედრო ქალაქი
10. № 143 ბაზრის ქ.	24. № 103 [illegible] № 18
11. № 121 არსენას ([illegible]) 15	25. № 144 კომუნალური 87.
12. № 147 რუსთაველის პროს. (მიმაგრება ყველა 3 სით.).	26. № 114 [illegible] ბაზარი 47 (მიმაგრება ყველა 3 სით.).
13 № 149 წყნეთის 32 (იგივე).	27. № 26 ველიამინოვის 1.
14 № 117 საბურთალოს [illegible] გზა.	28. № 142 [illegible] 23,
	29. № 141 [illegible]
	30 № 1[illegible] ლენინის 10.
	31 № 164 [illegible] 33
	32. № 113 უნივერსიტეტის 32.

ხმოვანი კინო-თეატრი ოქტომბერი

დღემის უკანასკნელი დღეები

გრანდიოზული ისტორიულ რევოლიუციური ფილმი

26 კომისარი

ავტორი რეჟისორი: ნ. შენგელაია. ოპერატორი: ვლ. შნაიდერი.

სურათის საილიუსტრაციოთ უკრავს სპეციალური სიმფონიური ორკესტრი. ნ. 25

1933 წლ. 5 მარტს საღ 7 საათზე საქართველოს პროფსაბჭოს მცირე დარბაზში

მოწვეულია ს. ორჯონიკიძის სახ

რაიონის

[illegible]

კომუნისტური კონფერენცია

[illegible]

საქ. კ. პ. (ბ) ს ორჯონიკიძის სახ. რაიკომი

[illegible]

ცისანა გიგლას-ასულ მეგუძის

სამოქალაქო პანაშვიდი დანიშნულია 6 მარტს დღის 1 საათზე [illegible]

[illegible]

აბესალომ ალექსის-ძე გაგიჩვაძის

[illegible] 6 მარტს 5 ს. [illegible] № 217. 45

[illegible]

ოსანა ლოთ[illegible]-ძე-სხირტლაძის

სამოქალაქო პანაშვიდი. 43

[illegible]

ვერიკო ოდიშარიას

უდროოდ დაკარგვას. დაკრძალვა [illegible] 5 მარტს. 47

[illegible]

დიმიტრი გრიგოლის-ძე დოლიძის

ტრაგიკულად გარდაცვალებას დაკრძალვა 7 მარტს [illegible]. 58

[illegible]

ბიჭუია (გიორგი) ბარათაშვილის

ტრაგიკულად გარდაცვალებას. [illegible] 5 მარტს 5 ს. [illegible] 60

[illegible]

ამხ. ანდრო ლეჟავა

[illegible] 42

[illegible]

ქსენია ევტიხი-ას ბალკინას

გარდაცვალებას. [illegible] № 4[illegible] [illegible] 5 ს. 59

[illegible]

ივანე (ვანიჩკა) ჭოლიძის

გარდაცვალების გამო. 54

[illegible]

ფილიპე მგალობლიშვილის

გარდაცვალებას. 53

[illegible]

მარდიკო გიორგის ასული ხოხობაშვილის

გამოსვენება [illegible] ქ № 37 5 მარტს 4 საათზე. 55

[illegible]

ქეთ. არია გოგიჩაიშვილის

გარდაცვალებას. დასაფლავება 7 მარტს ფოთი, გურიის 16. 41

[illegible]

დათიკო ილარიონის-ძე [illegible]

[illegible] 6 მარტს 2 საათზე დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი. 49

[illegible]

ნესტორ სპირიდონის-ძე კაჭარავას

დაკარგვას. 46

[illegible]

მინადორა ლომიძის

სამოქალაქო პანაშვიდი 60

[illegible]

[illegible] ყუფუნიას

გარდაცვალების გამო. 56

[illegible]

ევტიხი დოლიძის

[illegible] 6 მარტს [illegible] 57

[illegible]

ფილიპე არსენის-ძე მგალობლიშვილი

დაკრძალვა 5 მარტს [illegible]. 59

[illegible]

ვლადიმერ თედორეს-ძე კაჭარავას

სამოქალაქო პანაშვიდი. 51

[illegible]

კირილე ჭეიშვილის

[illegible] 5 მარტს 4 ს [illegible] ქ. № 2[illegible] 50

[illegible]

სანდრო ხოფერიას

უდროოდ გარდაცვალებას დაკრძალვა [illegible] 5 მარტს. 44

სტამბა „კომუნისტი" კამოს ქუჩა № 62

მთავლიტის რწმუნებული ა 1297